

მომსახურების პირობები

Voxbone-ის ანგარიშის გახსნისას, თქვენ თანხმობას აცხადებთ წინამდებარე მომსახურების პირობებზე. წინამდებარე მომსახურების პირობები ვრცელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მომსახურების ან Voxbone-ის ვებგვერდზე აღწერილი ნებისმიერი სხვა მომსახურების გამოყენებაზე, ისევე როგორც, Voxbone-ის ვებგვერდისა და თქვენი Voxbone-ის ანგარიშის გამოყენებაზე.

წინამდებარე მომსახურების პირობებით გათვალისწინებული პირობების ერთობლიობა, აგრეთვე Voxbone-ის მისაღები გამოყენების პოლიტიკა, Cookie ფაილების პოლიტიკა, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მომსახურების აღწერა, ფასების კატალოგი და მომსახურების შეზღუდვები, რომლებიც მოგეწოდება ჩვენი მომსახურების სისტემაში გაწვევებისას ან რომლებიც მოცემულია თქვენს ანგარიშში (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ხელშეკრულება“) სამართლებრივად სავალდებულოა როგორც თქვენთვის, ისე Voxbone-ისათვის.

წინამდებარე მომსახურების პირობები შესაძლოა პერიოდულად გადახედოთ იქნას და უკანასკნელი განახლებული ვერსია ჩაანაცვლებს ყველა მანამდე მოქმედ ვერსიას. მომსახურების პირობებში შეტანილი ცვლილებები/განახლებები ამოქმედდება ველში „ვერსია“ მითითებული თარიღიდან და მათ შესახებ გეცნობებათ წინასწარ, ელექტრონული ფოსტის ან ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით.

ნებისმიერ დროს შეგიძლიათ Voxbone-ის მანამდე მოქმედი მომსახურების პირობები იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://static.voxbone.com/files/TERMSOFSALE.pdf>. მომსახურების გამოყენების გაგრძელებით და შეტყობინების თარიღის შემდგომ, ახალი შეკვეთების განთავსებით, თქვენ ავტომატურად აცხადებთ თანხმობას მომსახურების ახალ პირობებზე.

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. ფილიალი:** რომელიმე მხარესთან მიმართებაში, იგულისხმება ნებისმიერი არსებული ან მომავალი კორპორაცია ან იურიდიული პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება აღნიშნული მხარის მიერ ან ექვემდებარება ერთობლივ კონტროლს აღნიშნულ მხარესთან ერთად.
- 1.2. სამუშაო დღე:** გულისხმობს ნებისმიერ კალენდარულ დღეს ორშაბათიდან, პარასკევის ჩათვლით, ბელგიაში მოქმედი რომელიმე საჯარო ან ეროვნული დღესასწაულის გარდა, რომლებიც ძირითადად დადგენილია კანონით.
- 1.3. ზარის წამოწყების საფასური:** კლიენტზე დარიცხული ერთჯერადი გადასახადი ზარის წამოწყებისთვის.
- 1.4. ზარის განმახორციელებელი ზარის ვინაობა (CLI):** ზარის წამოწყები ტელეფონის ნომრის და/ან ზარის განმახორციელებელი მხარის სახელის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, რომელიც გადაეცემა ზარის მიმღებს.
- 1.5. დარიცხული გადასახადები:** ნებისმიერი ყოველთვიურად დარიცხული გადასახადები, არარეგულარულად დარიცხული გადასახადები და გამოყენების საფუძველზე დარიცხული გადასახადები, რომლებიც ვრცელდება კლიენტის მომსახურებაზე (მომსახურებებზე).
- 1.6. არბი:** Voxbone-ის მიერ უზრუნველყოფილი სიხშირული რესურსი, რომელიც იძლევა ერთდროულად, ერთი ხმოვანი ზარის განხორციელების საშუალებას.
- 1.7. გამოყენების მოდელი:** ფასწარმოქმნის მოდელი, რომლის ფარგლებშიც, Voxbone-ი კლიენტს გადასახადს არიცხავს წუთობრივი დათვლის საფუძველზე (იგულისხმება წუთის ღირებულება) ან სიმძლავრის საფუძველზე (იგულისხმება არბის ღირებულება). ფასწარმოქმნის მოდელის შერჩევა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას და შერჩეული მოდელი გავრცელდება ყველა მომსახურებაზე, წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი მოქმედების ვადის განმავლობაში.
- 1.8. კლიენტი:** იურიდიული პირი, რომელიც Voxbone-თან აფორმებს წინამდებარე ხელშეკრულებას. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი დაწესებულების ფილიალი იყენებს მომსახურებებს, ტერმინი „კლიენტი“ უნდა აღნიშნავდეს ხსენებულ ფილიალს.
- 1.9. ვალუტა:** იგულისხმება ვეროს ან აშშ დოლარის ვალუტა, როგორც ეს ხელმოწერების გვერდზეა მითითებული. შერჩეული ვალუტა გავრცელდება კლიენტის ანგარიშთან დაკავშირებულ ყველა ტრანზაქციაზე.
- 1.10. ძალაში შესვლის თარიღი:** გულისხმობს წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედების თარიღს კლიენტის მიერ მომსახურების (მომსახურებების) შეკვეთის ან მხარეებს შორის, ორმხრივი წერილობითი შეთანხმების გაფორმების მეშვეობით.
- 1.11. შეტყობინება (შეტყობინებები):** Voxbone-ის შეტყობინების მომსახურების მეშვეობით გაგზავნილი ან მიღებული ტექსტური შეტყობინება, საჯარო სატელეფონო ქსელში, კლიენტებს ან მომხმარებლებსა და საბოლოო მომხმარებლებს შორის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) ჩათვლით.
- 1.12. მინიმალური ვალდებულება:** კლიენტის სავალდებულო ყოველთვიური მინიმალური გადასახადი Voxbone-ის მომსახურებისთვის (მომსახურებებისათვის). მინიმალური ვალდებულების ოდენობა და მინიმალურ ვალდებულებაზე დამატებული კონკრეტული გადასახადები მითითებული უნდა იყოს ხელმოწერის გვერდზე. მხოლოდ აღნიშნული გადასახადები შეადგენენ მინიმალურ ვალდებულებას.
- 1.13. მობილური ნომერი:** ნომერი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მობილური გამოყენებისთვის, შესაბამისი ეროვნული ნუმერაციის გეგმის თანახმად.
- 1.14. მობილური გამოყენება:** მომრაობისას გამოყენებადი სატელეკომუნიკაციო მომსახურების მახასიათებელი, რომლის მეშვეობითაც, საბოლოო მომხმარებელს შეუძლია მომსახურების გამოყენება დიდ მანძილებზე გადაადგილებისას, ყოველგვარი შეფერხების გარეშე.
- 1.15. ყოველთვიური რეგულარული გადასახადები (MRC):** Voxbone-ის მომსახურებების ძირითადი კომპონენტების, ნომრებისა და ურთიერთთართვის წინასწარ გადახდილი, რეგულარული სააბონენტო გადასახადი; ყოველთვიური რეგულარული გადასახადების ჩამოჭრა ხორციელდება მომსახურების თარიღის მომდევნო თვის დასაწყისში.
- 1.16. არარეგულარული გადასახადები (NRC):** სისტემის გამართვის საფასური, რომლის დარიცხვაც ხორციელდება მომსახურების შეკვეთის მომდევნო თვის დასაწყისში და ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული გადასახადები ან დაფინანსების გადასახადები.
- 1.17. ეროვნული მარეგულირებელი ორგანო (NRA):** ეროვნული მარეგულირებელი ორგანო ან სხვა ნებისმიერი კომპეტენტური ორგანო, რომელიც ადგენს და/ან ახორციელებს Voxbone-ის მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე (მომსახურებებზე) გავრცელებულ წესებს, რეგულაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს.

- 1.18. **ნომერი:** ტელეფონის ნომერი, რომელსაც კლიენტი იყენებს მომსახურების მისაღებად, როგორც ეს განსაზღვრულია მომსახურების აღწერაში.
- 1.19. **ქსელის შიდა ზარი:** ხმოვანი ზარი, რომლის როგორც წამოწყება, ასევე დასრულება ხდება Voxbone-ის ქსელში.
- 1.20. **პერსონალური მონაცემები:** იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება შეგროვებული ან დამუშავებული იქნეს ორივე მხარის მიერ, მომსახურების მიწოდების ან შექმნის კონტექსტში.
- 1.21. **ფასების კატალოგი:** სატარიფო განაკვეთები, რომლებიც ვრცელდება კლიენტის მომსახურებაზე (მომსახურებებზე) და ხელმისაწვდომია კლიენტის ანგარიშიდან.
- 1.22. **მომსახურება (მომსახურებები):** Voxbone-ის მიერ, კლიენტისათვის მიწოდებული ერთი ან მეტი მომსახურება, როგორც ეს განსაზღვრულია მომსახურების აღწერაში.
- 1.23. **მომსახურების თარიღი:** მომსახურების ან მისი ნებისმიერი კომპონენტის, მაგალითად, ნომრების ან ურთიერთჩართვის შეკვეთის თარიღი ან პორტირებული ნომრის გააქტიურების თარიღი.
- 1.24. **მომსახურების აღწერა:** დოკუმენტი, რომელიც აღწერს Voxbone-ის მიერ შეთავაზებულ მომსახურებებსა და მახასიათებლებს და რომელიც ხელმისაწვდომია კლიენტისათვის. მომსახურების აღწერა შეადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.25. **მომსახურების შეზღუდვები:** გამოყენების პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ადგენს, თუ როგორ შეუძლიათ კლიენტებს Voxbone-ის მომსახურების გამოყენება, რომლებიც ხელმისაწვდომია კლიენტის ანგარიშიდან და შესაძლოა პერიოდულად მოდიფიცირებული იქნეს. მომსახურების შეზღუდვების ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://www.voxbone.com/portal/restrictions/countries>.
- 1.26. **სპამი:** გულისხმობს რეკლამირების, ფიშინგის ან მავნე პროგრამების გავრცელების მიზნით გაგზავნილი ან განხორციელებულ არარელევანტურ ან არასასურველ შეტყობინებას ან ზარს, რომელსაც ჩვეულებრივ მიმღებების დიდი რაოდენობა იღებს და რომელიც მოთხოვნილი ან ავტორიზებული არ ყოფილა მიმღების მიერ.
- 1.27. **მომხმარებელი:** საბოლოო მომხმარებელი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელიც ან კლიენტია ან კლიენტის თანამშრომლები და რომელიც Voxbone-ის მომსახურებებს იყენებს საკუთარი მიზნებისათვის და არა მათი ხელახლა რელიზაციის მიზნით.
- 1.28. **გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადები:** ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახადი, მაგალითად, წუთობრივი გადასახადი, ზარის წამოწყების საფასური ან შეტყობინების საფასური. გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადები ვრცელდება გარკვეულ მომსახურებებზე. გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადები ანგარიშიდან იქვითება შესაბამისი მომსახურებების გამოყენების მომენტში.

2. მომსახურებები

Voxbone-ი კლიენტს მიაწოდებს Voxbone-ის ერთ ან მეტ მომსახურებას, როგორც ეს განსაზღვრულია მომსახურების აღწერაში, ხოლო კლიენტი აცხადებს თანხმობას, შეიძინოს აღნიშნული მომსახურება (მომსახურებები). Voxbone-ის მომსახურებები მოიცავს შემდეგს: (ა) ხმოვანი მომსახურებები; (ბ) შეტყობინების მომსახურებები; (გ) აპლიკაციები; (დ) ურთიერთჩართვის მომსახურება; და (ე) ნებისმიერი სხვა მომსახურებები, რომლებიც შეიძლება დამატებული იქნეს პერიოდულად და რომელთა მიწოდებაც განხორციელდება წინამდებარე პირობების შესაბამისად, თუ Voxbone-ის მიერ, სხვაგვარად არ არის მითითებული.

Voxbone-ი კლიენტის ანგარიშს უზრუნველყოფს არხების საწყისი განაწილებით, Voxbone-ის ხმოვანი მომსახურებების გამოსაყენებლად. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს დამატებითი არხები სურს, კლიენტმა წერილობითი მოთხოვნა უნდა წარადგინოს ვებპორტალის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: sales@voxbone.com ან უნდა მიმართოს კლიენტის ანგარიშის მენეჯერს. Voxbone-ი ძალისხმევას არ დაიშურებს იმისათვის, რომ მოთხოვნის დამუშავება და აქტივაციის შესახებ კლიენტის შეტყობინება უზრუნველყოს ხუთი (5) სამუშაო დღის ვადაში, იმ პირობით, თუ მოთხოვნილი არხები ხელმისაწვდომია Voxbone-ის ინვენტარში. იმ შემთხვევაში, თუ Voxbone-ი ვერ ახერხებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, Voxbone-ი და კლიენტი ითანამშრომლებენ კლიენტის გონივრული საჭიროებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით.

Voxbone-ის მომსახურებები კლიენტს მიეწოდება მხოლოდ ამ უკანასკნელის გამოყენებისთვის. კლიენტი არ არის უფლებამოსილი, ხელახლა გაყიდოს ან განხორციელოს Voxbone-ის მომსახურებების მიწოდება ნებისმიერი მესამე მხარეებისათვის, მთლიანად ან ნაწილობრივ.

3. კლიენტის ვალდებულებები

3.1. სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობა

- 3.1.1. კლიენტი ვალდებულია, შეინარჩუნოს ყველა ის სამართლებრივი და მარეგულირებელი უფლებამოსილებები, რომლებიც აუცილებელია Voxbone-ისაგან მომსახურების (მომსახურებების) შესაძენად და გამოსაყენებლად და უზრუნველყოს მისი მომხმარებლების მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
- 3.1.2. კლიენტმა უნდა შეასრულოს და თითოეულ მის მომხმარებელს მოსთხოვოს ყველა მოქმედი კანონისა და რეგულაციების შესრულება, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებებისა და ეროვნული ნუმერაციის გეგმების ჩათვლით. თუ კლიენტს ეცნობება ან მისთვის ცნობილი გახდება, რომ ის არღვევს ან შესაძლოა არღვევდეს რომელიმე სამართლებრივ დებულებას, კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიიღოს სათანადო ზომები დარღვევის აღმოფხვრისა და აღნიშნულ დებულებასთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით; და
- 3.1.3. კლიენტი ადასტურებს, რომ მის მიერ გადამოწმებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სატელეფონო მომსახურებები არ არის აკრძალული იმ იურისდიქციაში, რომელშიც ის მდებარეობს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მომსახურებებს შეიძენს ადგილობრივი ან ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით, სრული პასუხისმგებლობა Voxbone-ისათვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე ან ზარალზე უნდა დაეკისროს კლიენტს.
- 3.1.4. კლიენტი არ არის უფლებამოსილი, პირდაპირ ან არაპირდაპირ გადასცეს Voxbone-ისაგან მიღებული რაიმე ტექნიკური მონაცემები ან აღნიშნული მონაცემების პირდაპირი პროდუქტი ან განხორციელოს რაიმე მომსახურებების მიწოდება, რომლებიც მოიცავს მომსახურებების გამოყენებას ნებისმიერ ისეთ დანიშნულებასთან, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან მიმართებაში, რომლებზეც ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების, ევროგაერთიანების

ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საექსპორტო შეზღუდვები, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ), იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებშიც რეგისტრირებულია Voxbone-ი და კლიენტი და მომსახურებების გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაბამისი უცხო ქვეყნების კანონმდებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი სამთავრობო ორგანოსგან მოპოვებულია წინასწარი წერილობითი ნებართვა. კლიენტი ვალდებულია, მკაცრად დაექვემდებაროს გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოსა და ევროგაერთიანების ეკონომიკურ სანქციებს, რომლებიც შესაძლოა გავრცელდეს Voxbone-ის მიერ მიწოდებულ მომსახურებებზე.

3.1.5. კლიენტი იურიდიული პირი, რომელიც აფორმებს წინამდებარე ხელშეკრულებას, პასუხისმგებელი უნდა იყოს აგრეთვე იმ ნებისმიერი ფილიალების ან მომხმარებლების მოქმედებებზე, რომლებიც იყენებენ მომსახურებებს და კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ აღნიშნულმა ფილიალებმა ან მომხმარებლებმა შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

3.2.ა. ეკონომიკური სანქციები

კლიენტი და მისი შვილობილი კომპანიები არ წარმოადგენენ ნებისმიერ სანქცირებულ პირს, არ ეკუთვნიან ან არ კონტროლდებიან ნებისმიერი სანქცირებული პირის მიერ (იგულისხმება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც შეტანილია ევროგაერთიანების/ამერიკის შეერთებული შტატების/გაერთიანებული ერების სანქციების ნუსხაში ან აღნიშნულ ნუსხაში შეტანილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მფლობელობა ან მის მიერ კონტროლი; კლიენტი და მისი შვილობილი კომპანიები არ არიან რეგისტრირებულნი და არ წარმოადგენენ ისეთი ქვეყნის რეზიდენტს, რომელზეც ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების ყოვლისმომცველი ქვეყნის მასშტაბის ემბარგოს ზომები. ამჟამად, აღნიშნული ქვეყნები მოიცავს ყირიმს, კუბას, ირანს, ჩრდილოეთ კორეას და სირიას) და მისი არცერთი მოხელე, დირექტორი, რომელიმე თანამშრომელი, აგენტი ან მათი წარმომადგენელი ან დაკავშირებული პირი არ წარმოადგენს სანქცირებულ პირს.

კლიენტის, მისი შვილობილი კომპანიების, შესაბამისი დირექტორებისა და მოხელეების, აგრეთვე მათი შესაბამისი თანამშრომლების და აგენტების (რომლებიც მოქმედებენ მათი სახელით) საქმიანობა არ ეწინააღმდეგება მოქმედ ევროგაერთიანების/ამერიკის შეერთებული შტატების/გაერთიანებული ერების სანქციებს (იგულისხმება ნებისმიერი ეკონომიკური ან ფინანსური სანქციების კანონები, ექსპორტის კონტროლის კანონები, რეგულაციები ან დაკისრებული სავაჭრო ემბარგოები, რომელთა ადმინისტრირებას ან აღსრულებას უზრუნველყოფს ევროგაერთიანება, ამერიკის შეერთებული შტატები ან გაერთიანებული ერები) ყველა ძირითად ასპექტში და გაგნობიერებულად არ არიან ჩართულნი რაიმე სახის ისეთ საქმიანობაში, რომელიც გონივრულად გამოიწვევდა კლიენტის და/ან Voxbone-ის გამოცხადებას სანქცირებულ პირად.

კლიენტი და მისი შვილობილი კომპანიები პირდაპირ ან არაპირდაპირ არ მიაწოდებენ ან სხვაგვარად არ გამოიყენებენ Voxbone-ის მიერ მიწოდებულ მომსახურებებს ნებისმიერი სანქცირებული პირის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოიწვევს ევროგაერთიანების/ამერიკის შეერთებული შტატების/გაერთიანებული ერების ნებისმიერი მოქმედი სანქციების დარღვევას.

კლიენტი ვალდებულია, Voxbone-ს წერილობით და არაგონივრული დაყოვნების გარეშე აცნობოს თუ კლიენტი ან მისი ნებისმიერი შვილობილი კომპანია გახდება სანქცირებული პირი.

Voxbone-ი უფლებამოსილია შეწყვიტოს კლიენტთან ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა და გაუქმებულად მიიჩნიოს კლიენტის წინაშე ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება, თუ კლიენტი ან მისი რომელიმე შვილობილი კომპანია გახდება სანქცირებული პირი.

3.2. ანგარიშსწორების პირობები

3.2.1. ზოგადი დებულებები

- (ა) კლიენტზე გავრცელებული გადასახადები მითითებული უნდა იყოს კლიენტის ვებ პორტალიდან ხელმისაწვდომ ფაქტურებში. Voxbone-ი არ წამოიწყებს რაიმე გადასახადების დარიცხვას იქამდე, ვიდრე კლიენტი: (i) არ განათავსებს ნომრების პირველ შეკვეთას; (ii) არ დააპორტირებს ნომერს; ან (iii) სატესტო ნომერს გააქტიურებულ ნომრად არ გარდაქმნის.
- (ბ) Voxbone-ი უფლებამოსილია, ტარიფების ოდენობა შეცვალოს 7 დღით ადრე მიწოდებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ცვლილების ძალაში შესვლის შემდგომ, მომსახურებებზე გავრცელდება დაზუსტებული ტარიფები (თუ წერილობით სხვა რამ არ არის მითითებული).
- (გ) Voxbone-ისათვის გადასახდელი ყველა გადასახადი ან სხვა თანხები მითითებულია ყველა გადასახადის, დამატებითი საფასურის ან საბაჟო მოსაკრებლების გარეშე, რომლებიც, მათი არსებობის შემთხვევაში, კლიენტს დაერიცხება შესაბამისი თარიღისთვის მოქმედი განაკვეთით.
- (დ) კლიენტი უფლებამოსილია, გადახდა განახორციელოს Voxbone-ის ვებ პორტალის მეშვეობით, საკრედიტო ბარათის გამოყენებით ან საბანკო გადარიცხვით. Voxbone-ი უფლებამოსილია, პირდაპირ ჩამოჭრას შესაბამისი თანხა კლიენტის Voxbone-ის ანგარიშიდან და კლიენტის მონაცემებში მითითებული საკრედიტო ბარათიდან (ბარათებიდან), ნებისმიერი ანგარიშგაქტიურებით გათვალისწინებული დარიცხვის ანგარიშსწორების მიზნით.
- (ე) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ყოველთვიური გადასახადი აღემატება 5000 ევროს/აშშ დოლარს, კლიენტი ვალდებულია, გადასახადების დაფარვა განახორციელოს საბანკო გადარიცხვის მეშვეობით. საბანკო გადარიცხვისათვის მინიმალური მოთხოვნა შეადგენს 500 ევროს/აშშ დოლარს. საბანკო გადარიცხვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დანახარჯები უნდა დაფაროს კლიენტმა და კლიენტის ანგარიშში ჩაითვლება მხოლოდ საბოლოოდ მიღებული თანხები.

3.2.2. მინიმალური ვალდებულება

- (ა) კლიენტი აცხადებს თანხმობას მინიმალურ ვალდებულებაზე. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოცემული თვის განმავლობაში, კლიენტი ვერ მიაღწევს მინიმალურ ვალდებულებას, ძალაში შესვლის თვის გარდა, კლიენტი ვალდებულია, დაფაროს დარჩენილი გადაუხდელი ვალდებულების ოდენობა, მინიმალური ვალდებულების სრულად შესრულების მიზნით.
- (ბ) მინიმალური ვალდებულება ყოველთვის მიბმულია ერთ, ცალკეულ მომხმარებლის სახელზე.

3.2.3. ყოველთვიური რეგულარული გადასახადები

- (ა) ყოველთვიური რეგულარული გადასახადების ანგარიშგაქტიურების (ინვოისების) დაფარვა უნდა განხორციელდეს მათი გაცემისთანავე იმ თვის დასაწყისში, რომელსაც შეესაბამება აღნიშნული ყოველთვიური რეგულარული ხარჯები.

- (ბ) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ესაჭიროება პირდაპირი ურთიერთმართვა ან დამოწმებული საჯარო ინტერნეტ კავშირი, კლიენტს შეუძლია Voxbone-ისაგან შეიძინოს ურთიერთმართვის მომსახურებები, ხოლო Voxbone-ი შესაბამისი ყოველთვიური რეგულარული გადასახადის ოდენობას იანგარიშებს რეგიონის, საჭირო სიმძლავრისა და აღჭურვილობის საფუძველზე, როგორც ეს მითითებულია კლიენტის ვებ პორტალზე ხელმისაწვდომ ფასების კატალოგში.

3.2.4. არარეგულარული გადასახადები

- (ა) სისტემის გამართვისა და დაფინანსების საფასურთან დაკავშირებული არარეგულარული გადასახადები შედის ტრანზაქციის შემდგომ გაცემულ ყოველთვიურ ანგარიშგაქვებში (ინვოისში) და მათი გადახდა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, შესაბამისი ანგარიშგაქვების გაცემისთანავე.
- (ბ) ადმინისტრაციულ ხარჯებთან, სისტემის გამართვის საფასურთან და დაფინანსების საფასურთან დაკავშირებული არარეგულარული გადასახადების ანგარიშგაქვები (ინვოისები) გაიცემა ტრანზაქციის დღეს ან Voxbone-ის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს და შესაბამისი ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. კლიენტი აცნობიერებს, რომ არარეგულარული გადასახადების, ადმინისტრაციული გადასახადების, დაფინანსების გადასახადების ანგარიშგაქვები არ ითვლება მინიმალურ ვალდებულებად.
- (გ) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მოითხოვს Voxbone-ის მხარდაჭერას გარკვეულ ამოცანებთან მიმართებაში (მაგალითად, შერჩეული ნომრების ან დიაპაზონის მინიჭება კლიენტის ანგარიშსათვის, პორტაბელურობის შემოწმებების ჩატარება, პორტაბელურობის მოთხოვნების შექმნა ან ნომრების გაუქმება), Voxbone-ი უფლებამოსილია, კლიენტს დააკისროს ადმინისტრაციული გადასახადი საათში 200 ევროს/საშ დოლარის ოდენობით და მინიმუმ 50 ევრო ერთ მოთხოვნაზე. ნებისმიერი გავრცელებული გადასახადის შესახებ კლიენტს ეცნობება ამოცანის შესრულებამდე.
- (დ) ურთიერთმართვის მომსახურებები გამოიწვევს არარეგულარული გადასახადის დაკისრებას, სისტემის გამართვის მომენტში.

3.2.5. გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადები

- (ა) ზარების გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადები კლიენტის ანგარიშიდან დაიკვირება ფასების კატალოგში მითითებული ნაშატებით. ზარების დამრგვალება მოხდება წამობრივად თითოეულ ზარზე. შეტყობინების გაგზავნის საფასური ჩამოიჭრება თითოეული შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.
- (ბ) გამოყენების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია კლიენტის ვებ პორტალზე, „ზარების დეტალური ამონაწერის“ (“CDR”) ფუნქციაში. Voxbone-ის ამონაწერს უპირატესობა უნდა მიენიჭოს კლიენტის ამონაწერთან მიმართებაში.
- (გ) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ამოწურავს ან არ შეავსებს საკუთარი წინასწარი გადახდის ანგარიშის ბალანსს, გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადების შესაბამისად დაანგარიშებული მომსახურებები ავტომატურად დაიბლოკება.
- (დ) გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადების გადასახდელად შეძენილი კრედიტები დაანგარიშდება ტრანზაქციის თარიღზე და ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. ყველა კრედიტი გამოყენებული უნდა იქნეს შემენის თარიღიდან, მაქსიმუმ 180 დღიანი პერიოდის განმავლობაში. ზემოთხსენებული პერიოდის ამოწურვის შემდგომ, კლიენტის ბიზნეს ანგარიშზე არსებული ნებისმიერი გამოყენებული კრედიტი სრულად გაუქმდება. დაუშვებელია ზემოთ აღნიშნული გამოყენებული და გაუქმებული კრედიტის ანაზღაურების მოთხოვნა ან მიღება.
- (ე) გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადები განისაზღვრება კლიენტის მიერ გენერირებული ყოველთვიური ტრაფიკის მოცულობაზე დაყრდნობით და ფასების კატალოგით გათვალისწინებული მოცულობის დონის შესაბამისად. თავდაპირველად, კლიენტის გადასახადის დაანგარიშება მოხდება გამოყენების ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად. თვის განმავლობაში კლიენტის გამოყენების ზრდასთან ერთად, კლიენტის გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადები ეტაპობრივად შემცირდება უფრო მაღალი დონის მიღწევას. გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადების დარიცხვა განხორციელდება ტრანზაქციის მომენტში მოქმედი დონის შესაბამისად.
- (ვ) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ქსელის მიდა ზარები შეადგენენ კლიენტის ანგარიშზე, რომელიმე მოცემული თვის განმავლობაში განხორციელებული ყველა შემომავალი ხმოვანი ზარის წუთების ჯამური რაოდენობის 20%-ს ან მეტს, აღნიშნული ზღვარის ზევით, ყველა ქსელის მიდა ზარს დაერიცხება გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადები, ფასების კატალოგში მითითებული ტარიფებით.
- (ზ) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა შეარჩია სიმძლავრეზე დაფუძნებული მოხმარების მოდელი, კლიენტი ვალდებულია, არხები გაანაწილოს ყველა იმ ხმოვან მომსახურებაზე, რომელთა საფასურის დარიცხვაც ხორციელდება გამოყენებაზე დაფუძნებული გადასახადების სახით.

3.3. დავების გადაწყვეტა

- 3.3.1. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სურს რომელიმე ანგარიშგაქვების (ინვოისის) ნებისმიერი ნაწილის კეთილსინდისიერად გასაჩივრება, კლიენტმა ანგარიშგაქვების (ინვოისის) გაცემიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, Voxbone-ს უნდა წარუდგინოს დავის შესახებ წერილობითი შეტყობინება და დავის არგუმენტირებული საფუძვლის ამსახველი დოკუმენტაცია. კლიენტი ვალდებულია, დაფაროს ყველა არასადაო თანხა. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ანგარიშგაქვების (ინვოისის) არცერთ ნაწილს წერილობით არ გაასაჩივრებს 10 კალენდარული დღის განმავლობაში, უნდა ჩაითვალოს, რომ კლიენტი საბოლოოდ აცხადებს უარს, ანგარიშგაქვების (ინვოისის) გასაჩივრების უფლებაზე.
- 3.3.2. კლიენტთან დავის წარმოშობის შემთხვევაში, მხარეები უნდა ევადონ დავის გადაწყვეტას კეთილსინდისიერად, საქმიანი მოლაპარაკებების გზით. დავის შეტყობინების თარიღიდან მომდევნო 15 კალენდარული დღის განმავლობაში, მხარეებმა დავა უნდა განიხილონ თანამშრომლებს შორის, დეპარტამენტების უფროსების ან ექვივალენტურ დონეზე. მომდევნო 15 კალენდარული დღის განმავლობაში, მხარეები უნდა ევადონ დავის გადაწყვეტას თანამშრომლებს შორის, ვიცე-პრეზიდენტების ან ექვივალენტურ დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტები არსებითად არ ჩაერთვება ზემოთხსენებულ მოლაპარაკებებში, ჩაითვლება, რომ ეს უკანასკნელი უარს აცხადებს დავაზე.

3.3.3. Voxbone-ი განიხილავს კლიენტის დავის საფუძვლებს და მიიღებს ან უარყოფს სარჩელს წერილობითი ფორმით, დავის შესახებ შეტყობინების მიღების თარიღიდან, 60 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ Voxbone-ი მიიღებს კლიენტის სარჩელს, სადავო თანხა უნდა ჩაირიცხოს კლიენტის ანგარიშზე. თუ Voxbone-ი უარყოფს სარჩელს, კლიენტი ვალდებულია, 10 კალენდარული დღის განმავლობაში სრულად დაფაროს ყველა დავალიანება.

3.3.4. რომელიმე მოცემული თვის განმავლობაში არსებული ტრაფიკის მოცულობასთან დაკავშირებით შესაბამისი ან დავის არსებობის შემთხვევაში, თუ სხვაობა 5%-ზე ნაკლებია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს Voxbone-ის გაანგარიშებას და კლიენტმა უნდა დაფაროს ანგარიშგაქტურით (ინვოისით) განსაზღვრული თანხა.

3.4. ურთიერთჩართვა

კლიენტი თავად იქნება საკუთარი ქსელის ან სისტემების ურთიერთჩართვაზე Voxbone-ის ქსელთან გამოყოფილი ურთიერთჩართვის ან საჯარო ინტერნეტის მეშვეობით და ზემოხსენებულთან დაკავშირებული ხარჯები და ადმინისტრაციული გადასახადები კლიენტმა პირდაპირ უნდა გადაუხადოს ინტერნეტ მომსახურების საკუთარ მიმწოდებელს, მესამე მხარე დაშვების ოპერატორს ან Voxbone-ს, თუ ეს შესაძლებელია.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 4.1. წინამდებარე ხელშეკრულება უნდა ამოქმედდეს ძალაში შესვლის თარიღიდან და მოქმედებს კლიენტის ან Voxbone-ის მიერ, მისი შეწყვეტის თარიღამდე. ყველა ის პირობა, რომლებიც მათი ხასიათიდან გამომდინარე, გონივრულად ინტერპრეტირებული უნდა იქნეს, როგორც კვლავ მოქმედი, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის მიუხედავად, ანგარიშსწორებასთან, ზიანის ანაზღაურებასთან, პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული დებულებების ჩათვლით, ძალაში უნდა დარჩეს და სრულად მოქმედებდეს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.
- 4.2. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი სათანადოდ არ გაასაჩივრებს გადაუხდელობას ანგარიშგაქტურას (ინვოისს) გადახდის თარიღამდე, Voxbone-ი უფლებამოსილია, შეწყვიტოს ხელშეკრულება და შეაჩეროს მომსახურების მიწოდება წინასწარი შეტყობინებისა და კლიენტის წინაშე რაიმე სახის პასუხისმგებლობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, Voxbone-ი უფლებამოსილია, გამოართოს კლიენტისათვის გამოყოფილი ყველა ნომერი და ვერ გასცემს იმის გარანტიას, რომ რომელიმე ნომრის კლიენტისათვის დაბრუნება შესაძლებელი იქნება მომსახურებების ხელახალი გააქტიურებისას. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული უფლებები და საშუალებები წარმოადგენს კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებებისა და საშუალებების დამატებებს.
- 4.3. კანონით ან კაპიტალით დადგენილი ნებისმიერი სხვა უფლებების დამატებით, თითოეული მხარე უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება (მომსახურებები) ან ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ:
 - (ა) მეორე მხარემ ჩაიდინა არსებითი დარღვევა, რომლის აღმოფხვრაც არ უზრუნველყო დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღების თარიღიდან, 5 სამუშაო დღის განმავლობაში;
 - (ბ) მეორე მხარის საწარმოს ან აქტივების რომელიმე ნაწილზე დაწინაურდა მიმღები ან ადმინისტრაციული მიმღები; მეორე მხარე მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ ან კომპეტენტური იურისდიქციის სასამართლო გამოსცემს ბრძანებას აღნიშნულის შესახებ; აგრეთვე, თუ მეორე მხარე გააფორმებს რაიმე სახის ნებაყოფლობით შეთანხმებას საკუთარ კრედიტორებთან, შეწყვეტს ბიზნეს საქმიანობას ან გააკეთებს განცხადებას ბიზნეს საქმიანობის შეწყვეტის განზრახვის თაობაზე ან იმყოფება ნებისმიერი ანალოგიური მოქმედების ან წარმოების პროცესში, რომელიმე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.4. თითოეული მხარე უფლებამოსილია, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეწყვიტოს ხელშეკრულება, 30 დღით ადრე, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების წარდგენის შემთხვევაში.
- 4.5. კანონით ან კაპიტალით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა უფლებების დამატებით, Voxbone-ი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება ან მომსახურებების ნებისმიერი ნაწილი იმ შემთხვევაში, თუ იგი ვალდებულია შეასრულოს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლოს, გადაუდებელი დახმარების მომსახურების ორგანიზაციის ან სხვა კომპეტენტური სასამართლებრივი ორგანოს ბრძანება ან მოთხოვნა.
- 4.6. Voxbone-ი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ და წინასწარი შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ შეუძენია ან არ გამოუყენებია არცერთი მომსახურება ექვსი (6) თანმიმდევრული თვის განმავლობაში. Voxbone-ს არავითარი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს წინამდებარე პუნქტის თანახმად განხორციელებული ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, კლიენტისათვის მიყენებულ რაიმე სახის ზარალზე, ზიანზე ან უხერხულობაზე. კლიენტი არავითარ ანაზღაურებას არ მიიღებს ზემოთ აღნიშნული შეწყვეტის შემთხვევაში.
- 4.7. Voxbone-ი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ და წინასწარი შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ Voxbone-ი საკუთარი შეხედულებისამებრ, გონივრულად დაადგენს, რომ კლიენტმა მოახდინა Voxbone-ის მომსახურებების რეალიზაცია მესამე მხარეზე, წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის დარღვევით.
- 4.8. ხელშეკრულების შეწყვეტისას, გაუქმდება კლიენტის ბიზნეს ანგარიშზე არსებული ყველა გამოუყენებელი კრედიტი და თანხა არ დაექვემდებარება დაბრუნებას, თუ Voxbone-ი სხვაგვარად არ აცნობებს კლიენტს.

5. შეჩერება

- 5.1. Voxbone-ი უფლებამოსილია, ხელშეკრულების შეწყვეტის ნებისმიერ უფლებასთან წინააღმდეგობის გარეშე და კლიენტის მიერ განცდილი რაიმე სახის ზარალზე ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, დაუყოვნებლივ შეაჩეროს ერთი ან მეტი მომსახურების ან ნომრის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ:
 - (ა) ის უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მე-4 მუხლის შესაბამისად;
 - (ბ) მას გააჩნია გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ მომსახურება გამოიყენება თაღლითურად, უკანონოდ ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით;
 - (გ) კლიენტის ანგარიში წარმოქმნის საჩივრების, LEA-ს გამოძიებების ან ინფორმაციის მოთხოვნების გადაჭარბებულ რაოდენობას; ან
 - (დ) მას ესაჭიროება გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება საკუთარ ქსელში ან მომსახურების აღჭურვილობაზე ან აუცილებელია ქსელის გადატვირთვის შემსუბუქება.

6. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

- 6.1. არცერთ მხარეს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მეორე მხარის წინაშე, ამ უკანასკნელის, მისი ურთიერთჩართული გადაშვიდავების, პარტნიორების, კლიენტების ან საბოლოო მომხმარებლების მიერ განცდილ ხარჯებზე ან მათ მიერ მიღებულ საჩივრებზე, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენების შედეგად:
 - (ა) მომსახურების (მომსახურებების) მიწოდებასთან დაკავშირებული და მესამე მხარეების მიერ მართული ან ოპერირებადი აღჭურვილობის ან გადაცემის საშუალებების რაიმე სახის გაუმართაობა ან ავარია; ან
 - (ბ) მომსახურებებთან დაკავშირებით, მონაცემების ან კონტენტის დაკარგვა, მიღებული ინფორმაციის ხარისხის ან სიზუსტის შემცირება;
- 6.2. დაკარგვის, ქურდობის, გატყუების ან სხვა პირისათვის ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად გამოწვეულ, კლიენტის პაროლების ან სხვა უსაფრთხოების კოდების ნებისმიერ თაღლითურ ან არავტორიზებულ გამოყენებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს კლიენტი.
- 6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულების მიუხედავად, არცერთ შემთხვევაში, არცერთ მხარეს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა შედეგობრივ, განსაკუთრებულ ან ირიბ ზიანზე ან ზარალზე, მიუხედავად იმისა, აღნიშნული გამოწვეული იქნა სახელშეკრულებო ურთიერთობის, დარღვევის თუ სხვა გარემოების შედეგად (მოგების, შემოსავლისა და კლიენტების დაკარგვის ან რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის ჩათვლით).
- 6.4. არცერთ მხარეს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მეორე მხარის წინაშე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა გამოწვეული იქნა მეორე მხარის მიერ, ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, გარდა კლიენტის ანგარიშსწორების ვალდებულებებისა, უკვე გაწეულ მომსახურებებთან მიმართებაში.
- 6.5. თითოეული მხარის პასუხისმგებლობა მეორე მხარის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებაზე (თაღლითობის, წინასწარ განზრახული არასათანადო მოქმედების, ანგარიშსწორების პირობების ან AUP-ის დარღვევის გარდა), არცერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს შემდეგს (რომელიც უფრო ნაკლებია): (i) პასუხისმგებლობის გამოწვევებზე მოვლენამდე 6 თვიანი პერიოდის განმავლობაში, Voxbone-ის მიერ დარიცხული და კლიენტის მიერ გადახდილი გადასახადების ჯამური ოდენობა; ან (ii) 25,000 ევრო.
- 6.6. წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ზღუდავს რომელიმე მხარის პასუხისმგებლობას: (i) მხარის მნიშვნელოვანი დაუდევრობით გამოწვეული ან ასეთი დაუდევრობიდან გამომდინარე გარდაცვალების ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში; ან (ii) მოქმედი კანონმდებლობით, წინასწარ განზრახულ არასათანადო მოქმედებად ან თაღლითობად კვალიფიცირებული ნებისმიერი მოქმედების შემთხვევაში.
- 6.7. Voxbone-ის მიერ, გადაუხდელობის მიზეზით წამოწყებული წარმოებების გარდა, დაუშვებელია ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ზიანის ან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, ექსტრეზიანი (6) პერიოდის გასვლის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც მოსარჩელე მხარისათვის ცნობილი გახდა ან გონივრულად უნდა შეეტყო აღნიშნული ზიანის გამოწვევი მოვლენის შესახებ.
- 6.8. Voxbone-ს არავითარი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ მომსახურებების (ან მათი ნაწილის) მიწოდება შეუძლებელია, ქვემოთ მითითებული მოვლენების შედეგად: (i) Voxbone-ის გადაშვიდავის (გადამზიდავების) გაკოტრება ან ლიკვიდაცია; (ii) ფორს-მაჟორული გარემოება; ან (iii) კომპიუტერული თავდასხმა Voxbone-ის ქსელსა და აღჭურვილობაზე. ზემოთ მითითებულ შემთხვევებში, Voxbone-ი გამოიყენებს კომერციულად გონივრულ ძალისხმევას, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მომსახურების (მომსახურებების) აღდგენის მიზნით.
- 6.9. კლიენტი აცნობიერებს, რომ Voxbone-ის გადაუდებელი მომსახურებები ეყრდნობა მესამე მხარის ქსელებს გადაუდებელი ზარების განხორციელებისთვის თითოეულ ქვეყანაში. თუ კლიენტი შეუკვეთავს გადაუდებელ მომსახურებებს, Voxbone-ს არავითარი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ზემოთხსენებულ მესამე მხარე პროვაიდერების მოქმედებების, დაუდევრობის ან გაუმართაობის შედეგად, კლიენტისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

7. გარანტიები და განცხადებები

- 7.1. Voxbone-ი იძლევა გარანტიას იმის თაობაზე, რომ მომსახურებები შესრულდება პროფესიონალურად, ინდუსტრიის საყოველთაოდ მიღებული სტანდარტების შესაბამისად. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გარკვევით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა სხვა გარანტია მომსახურებებთან დაკავშირებით, როგორც მკაფიოდ გამოხატული, ისე ნაგულისხმევი, წინამდებარე დოკუმენტით გამოირიცხება კანონით ნებადართული მაქსიმალური განფენილობით. ექვსის თავიდან ასარიდებლად, აღნიშნული გამოირიცხება თანაბრად ვრცელდება ხელშეკრულების თარიღამდე Voxbone-ის მიერ ან Voxbone-ის სახელით გაცემულ ნებისმიერ გარანტიებსა და განცხადებებზე. კლიენტი აცნობიერებს, რომ ტექნიკურად შეუძლებელია მომსახურებების მიწოდება ყოველგვარი ხარვეზების გარეშე.
- 7.2. გამოშვებისწინა, სატესტო ან ბეტა მომსახურებების შეთავაზებების მიწოდება ხორციელდება „როგორც არის“ საფუძველზე, ყოველგვარი გარანტიების გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დარეგისტრირდება გამოშვებისწინა, სატესტო ან ბეტა მომსახურებებზე, Voxbone-ი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაიყვანოს კლიენტი საერთო გამოშვების მომსახურებებზე ტესტირების დასრულებისას. გადასვლის შემდეგ მომსახურებების გამოყენების გაგრძელება უნდა ჩაითვალოს საერთო გამოშვების პირობებზე თანხმობად.

8. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

- 8.1. 6.5. პუნქტის მიუხედავად, კლიენტი ვალდებულია, დაიცვას და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლოს Voxbone-ი, მისი მიმწოდებლები და პარტნიორები, აგრეთვე, მათი თანამშრომლები, კონტრაქტორები, დირექტორები, მოხელეები და წარმომადგენლები, ყოველგვარი რეალური ან სავარაუდო საჩივრისაგან, ზარალისაგან, პასუხისმგებლობისაგან, სამთავრობო გამოძიების ან აღსრულების მოქმედებისაგან და ხარჯებისაგან (ადვოკატის გონივრული ხარჯების ჩათვლით), რომლებიც გამოწვეული იქნა მესამე მხარის მიერ, მომსახურებების ნებისმიერი სახით გამოყენების შედეგად ან ასეთ გამოყენებასთან დაკავშირებით აღმრული საჩივრების საფუძველზე, კლიენტის, მისი ფილიალების, თანამშრომლების ან ქვეკონტრაქტორების მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დარღვევის ჩათვლით.
- 8.2. Voxbone-ი ვალდებულია, კლიენტს დროულად შეატყობინოს იმ შემთხვევაში, თუ Voxbone-ი განიცდის რაიმე სახის ანაზღაურებად ხარჯებს ან შეიტყობს ანაზღაურებადი საჩივრის არსებობის შესახებ. Voxbone-ი გონივრულად ითანამშრომლებს კლიენტთან და მის ადვოკატებთან, ანაზღაურებადი საჩივრისაგან დაცვის პროცესში. Voxbone-ი იტოვებს უფლებას, ჰყავდეს ვალკე ადვოკატი კლიენტის ხარჯზე და მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ანაზღაურებად საჩივართან დაკავშირებულ პროცესებში იმ პირობით, თუ ასეთი მონაწილეობა არ შეაფერხებს კლიენტის თავდაცვას.

- 8.3. ანაზღაურებად საჩივართან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგება: (i) უნდა გაფორმდეს მხოლოდ Voxbone-ის თანხმობით თუ აღნიშნული გარიგება Voxbone-ს აკისრებს რაიმე სახის შეზღუდვას ან პასუხისმგებლობის აღიარებას; და (ii) უნდა მოიცავდეს სათანადო კონფიდენციალურობის დაცვის შეთანხმებას, რომელიც კრძალავს აღნიშნული გარიგების პირობების გამჟღავნებას.
- 8.4. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეუკვეთავს გადაუდებელ მომსახურებებს, კლიენტი ვალდებულია, პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს და ზიანისაგან დაიცვას Voxbone-ი, ნებისმიერი მესამე მხარის საჩივრებთან, ზარალთან ან ზიანთან მიმართებაში, რომლებიც გამოწვეული იქნა იმის შედეგად, რომ კლიენტმა არ უზრუნველყო მომხმარებლის ადგილმდებარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მითითება ან CLI-ს შეცვლა.

9. ფორს-მაჟორული გარემოებები

არცერთ მხარეს არავითარი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების გამო, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა ან შესრულების დაყოვნება პირდაპირ ან ირიბად გამოწვეული იქნა ისეთი დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად, როგორებიცაა: ხანძარი; აფეთქება; ვანდალიზმი; საბოტაჟი; ბუნებრივი კატასტროფები; წყალდიდობა; მიწისძვრა; დემრთის მოქმედება; ომი; აჯანყებები; სამოქალაქო არეულობა; ამოხრებები; რევოლუციები; დაუმორჩილებლობა; ტერორისტული აქტები; მთავრობის მოქმედებები; სასამართლოს ბრძანება; შრომითი დავა; ელექტროენერჯის, გათბობის, განათების, ჰაერის კონდიციონირების ან სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის გაუმართაობა ან ხარვეზები, გამოწვეული ისეთი მიზეზებით, რომლებიც მხარეების გონივრულ კონტროლს არ ექვემდებარება; ან ნებისმიერი სხვა მიზეზი, რომელიც ითვლება ფორს-მაჟორულ გარემოებად (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ფორს-მაჟორი“); გამონაკლისის წარმოადგენს მხოლოდ ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომის თარიღამდე გაწეული მომსახურებების შესაბამისი ანგარიშსწორების ვალდებულებები და ის მომსახურებები, რომლებზეც არ ვრცელდება ფორს-მაჟორული მოვლენა. ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულმა მხარემ ვალდებულების შესრულება უნდა განაახლოს როგორც კი ეს გონივრულად შესაძლებელი იქნება.

10. ინტელექტუალური საკუთრება

- 10.1. მომსახურებასთან და/ან მომსახურების აღჭურვილობასთან დაკავშირებით გამოყენებული ნებისმიერი და ყველა პატენტი, რეგისტრირებული და არარეგისტრირებული კონცეფცია, საავტორო უფლებები, სავაჭრო ნიშნები, სახელი და ყველა სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები უნდა დარჩეს აღნიშნული უფლებების უფლებამოსილი მფლობელის ან მისი ქვეკონტრაქტორების საკუთრებად.
- 10.2. კლიენტი არ არის უფლებამოსილი, გაყიდვისთვის, მარკეტინგისთვის, პრეს-რელიზისთვის, რეკლამის ან სხვა სახის პუბლიკაციისთვის გამოიყენოს Voxbone-ის სახელი, სავაჭრო ნიშანი ან ლოგო ან გააკეთოს რაიმე სახის საჯარო განცხადება Voxbone-თან დაკავშირებით, Voxbone-ის წინასწარი, წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 10.3. 6.5. პუნქტის გათვალისწინებით, Voxbone-ი აცხადებს თანხმობას, დაიცვას და პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს კლიენტი და იკისროს პასუხისმგებლობა იმ ნებისმიერ საქმისწარმოებასთან, ზიანთან ან საჩივრებთან მიმართებაში, რომლებიც კლიენტს წარედგინა მომსახურებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის გამო, გარდა ქვემოთ მითითებული შემთხვევებისა: (i) თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეული იქნა კლიენტის მიერ, მომსახურებების ნებისმიერ სხვა მომსახურებასთან, ქსელთან, პროგრამულ უზრუნველყოფასთან, აღჭურვილობასთან, პროგრამასთან ან მოწყობილობასთან კომბინაციის ან ერთობლივი გამოყენების შედეგად, რომლებიც Voxbone-ს არ მიუწოდებია და მათი გამოყენების შესახებ არ გაუცია მკაფიო წერილობითი ნებართვა; ან (ii) თუ დარღვევის შესახებ აღნიშნული საჩივარი გამოწვეული იქნა კლიენტის მიერ, Voxbone-ის მითითებისა და დაზუსტებების დარღვევის შედეგად. კლიენტი ვალდებულია, Voxbone-ს დროულად აცნობოს ნებისმიერი ასეთი ინტელექტუალური საკუთრების დარღვევის საჩივრის არსებობის შესახებ. კლიენტი არ არის უფლებამოსილი, ნებისმიერი ასეთი ინტელექტუალური საკუთრების დარღვევის საჩივარი გადაწყვიტოს Voxbone-ის წინასწარი, წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 10.4. კლიენტი აცხადებს თანხმობას, დაიცვას და პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს Voxbone-ი და იკისროს პასუხისმგებლობა იმ ნებისმიერ და ყველა საჩივართან, ზარალთან, ზიანთან, პასუხისმგებლობებთან, გარიგებასთან, ხარჯებსა და დანახარჯებთან (იურიდიული ხარჯებისა და სხვა პროფესიონალებთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით) მიმართებაში, რომლებიც გამოწვეული იქნა ან უკავშირდება ნებისმიერი მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევას (ან დარღვევის შესახებ საჩივარს), მომსახურებების გამოყენებასთან დაკავშირებით, როდესაც აღნიშნული დარღვევის შესახებ საჩივარი გამოწვეული იქნა Voxbone-ის მიერ, კლიენტის მითითებისა და დაზუსტებების შესრულების შედეგად.

11. საჯაროობა

თუ მხარეებს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, თითოეული მხარე უფლებამოსილია, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, გამოიყენოს მეორე მხარის ლოგო და სახელწოდება კომერციული და მარკეტინგული მიზნებით (მაგალითად, კომპანიის კორპორატიულ პრეზენტაციებში, წარდგენებში, რეკლამაში და ა.შ). Voxbone-ის მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეები შეიმუშავებენ ერთობლივ პრეს-რელიზს და Voxbone-ის საქმის შესწავლას, რომლებიც გამოქვეყნებული უნდა იქნეს მოთხოვნის თარიღიდან, 6 თვის განმავლობაში.

12. კონფიდენციალურობა

- 12.1. Voxbone-ი და კლიენტი ვალდებული არიან, დაიცვან მეორე მხარის ზიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობა, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ინფორმაცია მათთვის ცნობილი ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღამდე გახდა ცნობილი თუ მას შემდეგ. ზემოთხსენებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს (თუმცა, მოცემული ნუსხა ამომწურავი არ არის): სრული ფინანსური ინფორმაცია, ტექნიკური მონაცემები, ფასწარმოქმნის მეთოდებთან, პროდუქტებთან, პროცესებთან, ნუსხებთან, სტატისტიკასთან, პროგრამებსა და პროგრამულ უზრუნველყოფასთან, კვლევასთან, განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან ინფორმაცია, რომელიც მითითებულია კონფიდენციალური ხასიათის მქონე ინფორმაციად ან რომელიც, მისი ხასიათიდან და გამჟღავნების კონტექსტიდან გამომდინარე, მიძღვებას მიერ გონივრულად უნდა ჩაითვალოს კონფიდენციალურ ინფორმაციად (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კონფიდენციალური ინფორმაცია“).
- 12.2. კონფიდენციალური ინფორმაცია უნდა ჩაითვალოს გამჟღავნებელი მხარის საკუთრებად და მიმღები მხარე ვალდებულია, არ გაუმჟღავნოს აღნიშნული ინფორმაცია მესამე მხარეს, გამჟღავნებელი მხარის წინასწარი, წერილობითი თანხმობის გარეშე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები აგრეთვე კონფიდენციალურ ინფორმაციად უნდა ჩაითვალოს, მხარეების ლოგოების ნებადართული გამოყენების გარდა. თითოეული მხარე ვალდებულია, მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად გამოიყენოს იგივე საშუალებები, რომლებსაც იყენებს მისი უთანაბელი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისთვის, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, არანაკლებ გონივრული საშუალებებისა, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა და ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით. თითოეული მხარე აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია გაუმჟღავნოს მხოლოდ იმ თანამშრომლებს, მოხელეებს, წარმომადგენლებს, მრჩევლებსა და კონსულტანტებს, რომლებსაც აღნიშნული ინფორმაციის ცოდნა ესაჭიროებათ და რომლებმაც თანხმობა განაცხადეს შესაბამისი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე, სულ მცირე, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული შემზღვევით პირობების თანაბარი პირობებით.

- 12.3. წინამდებარე კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ ინფორმაციაზე, რომელთან დაკავშირებითაც, მიმღებ მხარეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ: (i) აღნიშნული ინფორმაცია უკვე კანონიერად ცნობილი იყო მიმღები მხარისათვის მისი მოპოვების მომენტში და მიმღებ მხარეს არ ჰქონდა ხსენებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება; (ii) აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდებოდა, მიმღები მხარის ყოველგვარი დარღვევის გარეშე; (iii) აღნიშნული ინფორმაცია კანონიერი გზით იქნა მიღებული მესამე მხარის მხრიდან, შეზღუდვების და ხელშეკრულების დარღვევის გარეშე; ან (iv) აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება სავალდებულო სასამართლოსთვის, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოსათვის, სხვა კომპეტენტური საჯარო ორგანოსათვის ან მოქმედი მარეგულირებელი ან სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად გაკეთებული კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე, მოქმედ კანონმდებლობასთან ან რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იმ პირობით, რომ ყოველთვის, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება, მიმღებმა მხარემ გამჟღავნებელ მხარეს დროულად წარუდგინოს წერილობითი შეტყობინება გამჟღავნების ასეთი მოთხოვნის შესახებ.
- 12.4. არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი, მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენოს რაიმე სხვა დანიშნულებით, წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული უფლებების აღსრულებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნის გარდა.
- 12.5. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისას ან ხელშეკრულების შეწყვეტისას, თითოეული მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს დროულად დაუბრუნოს ან გაანადგუროს მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია სრულად და ასეთი ინფორმაციის ყველა ასლი, ელექტრონულად შენახული ასლების ჩათვლით.

13. მონაცემების კონფიდენციალურობა

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე ახორციელებს პირადი მონაცემების დამუშავებას წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, აღნიშნული მხარე ვალდებულია, ყველა თავსაზრისით დაიცავს მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობა სრულად, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ), ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ("GDPR").

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი პირადი მონაცემების დამუშავება უნდა განხორციელდეს მონაცემთა დამუშავების ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.voxbone.com/transparency>.

14. სხვადასხვა დებულებები

- 14.1. **გადაცემა.** არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი, ხელშეკრულება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებები და ვალდებულებები, გადასცეს მესამე მხარეს, მეორე მხარის წინასწარი, წერილობითი თანხმობის გარეშე. აღნიშნული თანხმობის არაგაონიერული შეფერხება დაუშვებელია.
- 14.2. **ურთიერთობა.** თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გარკვევით გათვალისწინებული, წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი დებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ისეთნაირად, რომ გულისხმობდეს Voxbone-ის ან კლიენტის დანიშნულ მხარეს აგენტად, პარტნიორად ან წარმომადგენლად ან ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბების განზრახვას ნებისმიერი მიზნით.
- 14.3. **შეტყობინებები.** კლიენტისათვის წარსადგენი ყველა შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა კომუნიკაცია კლიენტს უნდა გაეზავნოს წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კლიენტის მიერ, კლიენტის ანგარიშის ინფორმაციაში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე და მიღებულად უნდა ჩაითვალოს მიწოდებისთანავე. კლიენტის ვალდებულებას შეადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა საკონტაქტო ინფორმაცია იყოს ზუსტი და განახლებული Voxbone-ის კლიენტის ანგარიშში. რეგისტრირებული ან სერტიფიცირებული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინებები მიწოდებულად უნდა ჩაითვალოს გაგზავნის თარიღიდან, მეხუთე სამუშაო დღეს.
- 14.4. **დაყოფადობა.** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილი არის ან გახდება უკანონო, ბათილი ან უმოქმედო, აღნიშნული ნაწილი ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ აღნიშნული ბათილობის ან უმოქმედობის ფარგლებში და აღნიშნული ნაწილის უმოქმედობამ არავითარი ზეგავლენა არ უნდა იქონიოს ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილების მოქმედებასა და აღსრულებაზე. Voxbone-ის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე უფლების შეფერხება ან შეუსრულებლობა და ამ უფლების ნაწილობრივი ან ერთჯერადი გამოყენება არ წარმოადგენს უარის თქმას ამ ან რაიმე სხვა უფლებაზე, თუ მხარეებს შორის გარკვევით სხვა რამ არ არის შეთანხმებული. რომელიმე მხარის მიერ, ხელშეკრულების ნებისმიერი დებულებების უარყოფა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია წერილობითი ფორმით.
- 14.5. **მოქმედების გაგრძელება.** წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დებულებები, რომლებიც, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ძალაში უნდა დარჩეს ან შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ ძალაში უნდა დარჩეს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის ან შეწყვეტის შემდეგაც, ანგარიშსწორებასთან, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებასთან, პასუხისმგებლობის შეზღუდვებთან და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული დებულებების ჩათვლით, ძალაში უნდა დარჩეს და სრულად მოქმედებდეს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგაც.
- 14.6. **მარეგულირებელი კანონმდებლობა და ადგილი.** წინამდებარე ხელშეკრულებაზე უნდა გავრცელდეს და წინამდებარე ხელშეკრულება ინტერპრეტირებული უნდა იქნეს ექსკლუზიურად ბელგიაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული კანონმდებლობის კანონთა კონფლიქტის პრინციპების მითითების გარეშე. მხარეები შეუქცევადად თანხმდებიან, დაექვემდებარონ ბრიუსელის ფრანგულენოვანი სამეწარმეო სასამართლოების იურისდიქციას, ხელშეკრულებასთან ან მომსახურებებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.
- 14.7. **ხელშეკრულების მთლიანობა**
 - (ა) წინამდებარე ხელშეკრულება, მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებების ჩათვლით, წარმოადგენს მხარეებს შორის მიღწეულ სრულ შეთანხმებას, აუქმებს და ანაცვლებს მხარეებს შორის, წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით, ყველა მანამდე წარმოებულ მოლაპარაკებას ან მიღწეულ შეთანხმებას (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი). ძალაში შესვლის თარიღამდე შეკვეთილ ყველა მომსახურებაზე უნდა გავრცელდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
 - (ბ) ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე სახის წინააღმდეგობის, შეუსაბამობის ან ბუნდოვანების შემთხვევაში, უპირატესობის მინიჭება უნდა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით: (i) მომსახურების პირობებში შეტანილი ცვლილება (ცვლილებები), ასეთის არსებობის შემთხვევაში; (ii) ხელმოწერის გვერდი; (iii) მომსახურების პირობები; (iv) მომსახურების შეზღუდვები; (v) AUP; (vi) ფასების კატალოგი; და (vii) მომსახურების აღწერა.
 - (გ) ხელშეკრულების ხელმოწერით, კლიენტის წარმომადგენელი იძლევა გარანტიას იმის თაობაზე, რომ ის აღჭურვილია კლიენტის სახელით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების უფლებამოსილებით. აღნიშნულის შედეგად, კლიენტის მიერ მომსახურებების გამოყენება ჩაითვლება კლიენტის მიერ, შესაბამისი ვალდებულებების აღების დადასტურებად.

მომსახურების აღწერა

1. ხმოვანი მომსახურებები

Voxbone-ი მომხმარებლებს სთავაზობს ხმოვან მომსახურებებს, შემდეგი ტიპის ნომრებთან ერთობლიობაში, ქვეყნის მიხედვით: ადგილობრივი ნომრები, ეროვნული ნომრები, მობილური ნომრები, უფასო ნომრები, საერთო ღირებულების ნომრები, სპეციალური ნომრები და საერთაშორისო ნომრები. ხმოვანი მომსახურებებისა და ნომრების მიწოდება ხორციელდება არხებთან ერთობლიობაში ზარის სიმძლავრისთვის, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს რომელიმე ქვეყანას ან გეოგრაფიულ ზონას. ხმოვანი მომსახურებები განიმარტება ქვემოთ მოცემულის შესაბამისად და მოიცავს მომსახურებების შემდეგ კატეგორიებს:

- 1.1. **შემომავალი ხმოვანი მომსახურება.** Voxbone-ის შემომავალი ხმოვანი მომსახურება უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლების მიერ, საჯარო ქსელში წამოწყებულ რეალური დროის ინტერნეტ პროტოკოლის ხმოვან კომუნიკაციებს, რომლებიც სრულდება კლიენტის IP-თავსებად ადჭურვილობაში.
 - 1.1.1. **აქტივაცია და უზრუნველყოფა.** Voxbone-ის ყველა ნომერი შექმნილია გააქტიურებულია შემომავალი ხმოვანი მომსახურებებისთვის. ნომერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმუმ ერთი არხით იმისათვის, რომ კლიენტმა შეძლოს შემომავალი ზარის მიღება.
- 1.2. **გამავალი ხმოვანი მომსახურება.** Voxbone-ის გამავალი ხმოვანი მომსახურება უზრუნველყოფს კლიენტების IP-თავსებად ადჭურვილობაში წამოწყებულ რეალური დროის ინტერნეტ პროტოკოლის ხმოვან კომუნიკაციებს, რომლებიც სრულდება საჯარო ან IP ქსელების საბოლოო მომხმარებლებთან.
 - 1.2.1. **აქტივაცია და უზრუნველყოფა.** Voxbone-ის შესაბამისი ნომრები შექმნილია გააქტიურებულია გამავალი ხმოვანი მომსახურებებისთვის. ნომერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმუმ ერთი არხით იმისათვის, რომ კლიენტმა შეძლოს გამავალი ზარების განხორციელება.
 - 1.2.2. გამავალი ხმოვანი მომსახურებებისთვის, ზარის მაქსიმალური ხანგრძლივობა სტანდარტულად სამ საათს შეადგენს. კლიენტს შეუძლია ზარის სტანდარტული ხანგრძლივობის შემცირება ვებ პორტალის მეშვეობით ან შეუძლია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაუკავშირდეს საკუთარი ანგარიშის მმართველს და მოითხოვოს ზემოთხსენებული ხანგრძლივობის შეცვლა.
 - 1.2.3. **ადგილობრივი გამოძახება.** Voxbone-ის ნომრებზე, რომლებიც გააქტიურებულია ზარების განსახორციელებლად იმ საბოლოო მომხმარებლებთან, რომელთა ნომრებიც შედის იგივე ეროვნულ ნუმერაციის გეგმაში, ვრცელდება შემდეგი პირობები:
 - (ა) ადგილობრივი გამავალი ზარების განსახორციელებლად, კლიენტმა უნდა მოიპოვოს დაშვება გადაუდებელ მომსახურებებზე.
 - (ბ) Voxbone-ი გადაუდებელ მომსახურებებს უზრუნველყოფს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც შეთავაზებულია ადგილობრივი გამავალი ზარები.
 - (გ) გადაუდებელი მომსახურებებისთვის გააქტიურებული ყველა ნომერი ავტომატურად შეძლებს ადგილობრივი ზარების განხორციელებას.
 - (დ) გადაუდებელი მომსახურებების არჩენი ნომრიდან ადგილობრივი ზარის განსახორციელებლად, კლიენტი უნდა დაუკავშირდეს საკუთარ ანგარიშის მენეჯერს და მოითხოვოს ფუნქციის აქტივაცია, რა შემთხვევაშიც, კლიენტმა გარკვევით უნდა დაადასტუროს, რომ მას თავად აქვს გამოსავალი, რომლის მეშვეობითაც, კლიენტი უზრუნველყოფს მისი მომხმარებლების დაშვებას გადაუდებელ მომსახურებებზე Voxbone-ის ყველა იმ ნომრიდან, რომლებიც გამოყენებული იქნება ადგილობრივი გამავალი ზარების განსახორციელებლად.
 - 1.2.4. **გადაუდებელი მომსახურებები.** Voxbone-ის გადაუდებელი მომსახურებები კლიენტებს ან მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, წამოიწყონ ქვეყნისმიდა გამავალი ხმოვანი ზარები, ზარის განსახორციელებელ ნომერთან ასოცირებულ შესაბამის გადაუდებელი მომსახურების სატელეფონო ნომრებზე. Voxbone-ი უზრუნველყოფს მომხმარებლის ადგილმდებარეობის ინფორმაციის გადაცემას შესაბამისი ეროვნული გადაუდებელი დახმარების საცნობარო სამსახურებისთვის.
 - (ა) **აქტივაცია და მონაცემთა მიწოდება**
 - (i) გადაუდებელი მომსახურებებისთვის ნომრის აქტივაციის მიზნით, კლიენტმა აქტივაციის მოთხოვნა უნდა წარადგინოს Voxbone-ის პორტალზე ან API-ში ხელმისაწვდომი ფუნქციის მეშვეობით, მომხმარებლის სრული და ზუსტი სავალდებულო ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც გადაეცემა ადგილობრივ გადაუდებელი მომსახურებების ორგანოს. კლიენტი შეტყობინებას მიიღებს ნომრის წარმატებით აქტივაციის შესახებ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
 - (ii) Voxbone-ისათვის მიწოდებული მონაცემების სიზუსტის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ კლიენტი. Voxbone-ი იტოვებს უფლებას, არ გამოაქვეყნოს დაუზუსტებელი, არასრული ან შეუსაბამო მონაცემები.
 - (iii) კლიენტმა გადაუდებელი მომსახურებები უნდა გააქტიუროს თითო ნომრის მიხედვით. შესაბამისად, CLI-ს აქტივაცია განხორციელდება ინდივიდუალურად (კლიენტმა არ უნდა გააქტიუროს ერთი ნომერი ერთ ადგილმდებარეობაზე) და წინამდებარე ხელშეკრულებით, გარკვევით იკრძალება CLI-ში რაიმე ცვლილების განხორციელება.
 - 1.2.5. **საცნობარო მომსახურებები.** Voxbone-ის საცნობარო მომსახურებები კლიენტს ან მომხმარებელს აძლევს კლიენტის ნომერთან დაკავშირებული სახელისა და მისამართის დეტალების რეგისტრაციის შესაძლებლობას, ეროვნულ საცნობარო მონაცემებში.
 - (ა) **აქტივაცია და მონაცემთა მიწოდება**
 - i. გადაუდებელი მომსახურებებისათვის გააქტიურებული ყველა ნომერს ავტომატურად გააქტიურებული აქვს საცნობარო მომსახურებები, სადაც ასეთი საცნობარო მომსახურებები ხელმისაწვდომია.

- ii. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სურს ნომრის საცნობარო მომსახურებების გააქტიურება გადაუდებელი მომსახურებების აქტივაციისაგან დამოუკიდებლად, კლიენტმა უნდა წარადგინოს აქტივაციის მოთხოვნა Voxbone-ის პორტალზე ან API-ში ხელმისაწვდომი ფუნქციის მეშვეობით.
- iii. შესაბამის ეროვნულ საცნობარო მონაცემებში გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამატების მიზნით, კლიენტმა უნდა წარადგინოს აქტივაციის მოთხოვნა Voxbone-ის პორტალზე ან API-ში ხელმისაწვდომი ფუნქციის მეშვეობით.
- iv. შესაბამის ეროვნულ საცნობარო მონაცემებში გამოქვეყნებული ინფორმაციის მოდიფიცირების ან ამოღების მიზნით, კლიენტს შეუძლია ცვლილების ან ამოღების მოთხოვნის წარდგენა Voxbone-ის პორტალზე ან API-ში ხელმისაწვდომი ფუნქციის მეშვეობით.

1.2.6. **ზარის განმახორციელებლის საიდენტიფიკაციო სახელი (CNAM).** Voxbone-ის CNAM მომსახურება უზრუნველყოფს ზარის განმახორციელებლის ტელეფონის ნომრის გადაცემას მიმღები მხარის სატელეფონო აღჭურვილობისთვის, ზარის განხორციელების მომენტში.

Voxbone-ი კლიენტის ზარის განმახორციელებელ ნომერს წარუდგენს ზარის მიმღებ მხარეს. ზარის მიმღები მხარისთვის ზარის განმახორციელებელი მხარეების სახელების წარდგენა ზარის განმახორციელებელი მხარის მომსახურების მიწოდების პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

(ა) **აქტივაცია და წარდგენა**

- i. Voxbone-ის ყველა შესაბამისი ნომერი გააქტიურებულია CNAM-ისთვის შემენისთანავე, უფასოდ.
- ii. ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამავალი ზარის განხორციელებისას, მოხდება როგორც სახელის, ისე ტელეფონის ნომრის მიწოდება.
- iii. კანადაში, გამავალი ზარის განხორციელებისას გადაიცემა მხოლოდ ტელეფონის ნომერი.

(გ) **მონაცემთა მიწოდება.** ნომრისთვის CNAM ინფორმაციის მიწოდებისთვის, კლიენტმა წერილობითი მოთხოვნა უნდა წარუდგინოს საკუთარ ანგარიშის მენეჯერს ან ინფორმაცია უნდა ატვირთოს პირდაპირ ვებ პორტალზე.

1.2.7. **ზარის განმახორციელებელი ხაზის საიდენტიფიკაციო სია.** CLI Whitelist ფუნქციის გააქტიურება და კლიენტის მიერ გამოყენება შესაძლებელია გამავალ ხმოვან მომსახურებასთან მიმართებაში. კლიენტის შეუძლია გამავალი ხმოვანი მომსახურების გააქტიურება Voxbone-თან იმ სატელეფონო ნომრებზე, რომელთა გამოყენებაც კლიენტს მიღებული აქვს ოფიციალური ნებართვა: (i) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ, ნომრების პირდაპირი მინიჭების შედეგად; ან (ii) სხვა მომსახურების მიწოდებლის მიერ, ნომრების მინიჭების შედეგად.

CLI Whitelisting-ი კლიენტს მისცემს აღნიშნული ნომრებიდან, გამავალი ხმოვანი ზარების განხორციელების შესაძლებლობას. CLI Whitelisting ფუნქციის გააქტიურებამდე, კლიენტმა ნომრები უნდა დაამატოს სიაში, ვებ პორტალის მეშვეობით. აღნიშნული აქტივაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებით, კლიენტი Voxbone-ის წინაშე იძლევა ქვემოთ მითითებულ გარანტიებს და ადასტურებს შემდეგს:

- კლიენტი ადასტურებს, რომ მას გააჩნია აღნიშნული ნომრების გამოყენებისა და Voxbone-ის პლატფორმაში მათი შეტანის კანონიერი ნებართვა;
- კლიენტი იძლევა გარანტიას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ნომრები არ გამოიყენება და შეტანილი არ არის არცერთი მესამე მხარე ქსელის პროვაიდერის პლატფორმაში.

კლიენტს უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა, ხოლო Voxbone-ი მთლიანად უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან რაიმე სახის პირდაპირ ან ორიზონალურ მიმართებით, მესამე მხარის საჩივრებისა და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ნებისმიერი გამოძიებების ჩათვლით, რომლებსაც შესაძლოა Voxbone-ი დაექვემდებაროს, კლიენტის მიერ, ნომრების არასათანადოდ გამოყენების ან CLI Whitelist-ის ბოროტად გამოყენების შედეგად.

Voxbone-ი უფლებამოსილია, დაუფიქსირებლად შეაჩეროს ან შეწყვიტოს CLI Whitelist ფუნქცია იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ CLI Whitelist-ის გამოყენება ხორციელდება თადლითურად, უკანონოდ ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით ან ნებისმიერი სხვა კომერციული მიზეზით.

2. შეტყობინებების გაგზავნის მომსახურებები

Voxbone-ის შეტყობინებების გაგზავნის მომსახურებები კლიენტებს სთავაზობს ისეთი შეტყობინებების გაგზავნისა და მიღების შესაძლებლობას, როგორცაა მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS), მათ მობილურ ნომრებსა და საჯარო სატელეფონო ქსელის ან სხვა შეტყობინებების პლატფორმების სხვა მომხმარებლებს შორის. Voxbone-ის შეტყობინებების გაგზავნის მომსახურების შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ გრძელი კოდის მომსახურების სახით.

2.1. **აქტივაცია.** Voxbone-ის ყველა შეტყობინებების გაგზავნისთვის გააქტიურებული ნომერი ასევე აქტიურია პირიდან-პირისთვის („P2P“) შეტყობინებების გაგზავნის მომსახურებისთვის, მათი შემენისთანავე.

2.2. **შეზღუდვები და აღიარებები**

- (ა) Voxbone-ის შეტყობინებების გაგზავნისთვის გააქტიურებული ნომრების ლიმიტი შეადგენს 2000 გამავალ შეტყობინებას ერთი ნომრიდან/დღეში, ქსელის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. თუ ნომრისთვის დამატებითი დღიური ტრაფიკი გეგმიურადაა, შეგიძლიათ შესაბამისი მოთხოვნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარუდგინოთ თქვენი ანგარიშის მენეჯერს.
- (ბ) კლიენტი აცნობიერებს, რომ Voxbone-ი შეტყობინებების მიწოდებას ახორციელებს მესამე მხარე მობილური ქსელის პროვაიდერების მეშვეობით და აღნიშნულიდან გამომდინარე, მას შეუძლია გავლენა მოახდინოს შეტყობინებების გადაცემაზე მხოლოდ იმ ტექნიკური შეზღუდვების ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია სხვანაირი პროვაიდერების მიერ.

- (გ) შეტყობინებების გაგზავნის მომსახურება არ მოიცავს პრემიუმ განაკვეთის ტექსტურ შეტყობინებებს და აღნიშნული მომსახურება არ მიეწოდება პრემიუმ განაკვეთის ნომრებს ან მობილურ მოკლე კოდის ნომრებს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან მისი მომხმარებლები შეტყობინებების გაგზავნის მომსახურებას იყენებენ შეტყობინებების წამოწყების მიზნით პრემიუმ განაკვეთის ნომრების ან ნებისმიერი მობილური მოკლე კოდის ნომრების მისამართით, კლიენტი აცხადებს თანხმობას, დაფაროს შესაბამისი საფასური.

3. ნომრის პორტაბელურობა

Voxbone-ის ნომრის პორტაბელურობის მომსახურება მოიცავს ადგილობრივი ნომრის პორტაბელურობას, მობილური ნომრის პორტაბელურობასა და უფასო ნომრის პორტაბელურობას. თუ აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომია მოცემული ნომრისათვის, ეს მიუთითებს იმაზე, რომ კლიენტს შეუძლია ნომრის პორტირება Voxbone-ის ქსელიდან ან Voxbone-ის ქსელში.

3.1. ნომრის პორტირება Voxbone-ის ქსელში

- (ა) იმ შემთხვევაში, თუ ნომრის პორტაბელურობა ნებადართული და მხარდაჭერილია კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში, კლიენტი შესაძლოა უფლებამოსილი იყოს, Voxbone-ის ქსელში დააპორტიროს სხვა ოპერატორების აქტიური ნომრები.
- (ბ) პორტირების თითოეულ შემთხვევაში მოთხოვნასთან ერთად ან ასეთი მოთხოვნის წარდგენამდე, კლიენტმა Voxbone-ს უნდა წარუდგინოს ავტორიზაციის მოქმედი წერილი ("LOA") შესაბამისი მომხმარებლისგან, Voxbone-ისათვის მისაღები ფორმით.

3.2. ნომრის პორტირება Voxbone-ის ქსელიდან

- (ა) ერთი ან მეტი აქტიური ნომრის პორტირების შესახებ მომხმარებლის მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, Voxbone-ი დააკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას კლიენტის მკაფიო თანხმობის გარეშე Voxbone-ის წინაშე, თუ ნომრის პორტაბელურობა მხარდაჭერილია შესაბამისი ქვეყანაში.
- (ბ) ზემოთხსენებული მოთხოვნის დამუშავებამდე ან მისი დამუშავების შემდგომ, Voxbone-ი უფლებამოსილია მომხმარებლისგან მოითხოვოს ავტორიზაციის წერილის ("LOA") ასლი, რომელიც მის ახალ ოპერატორს ანიჭებს დონორი ოპერატორისაგან, ნომრის იმპორტირების ნებადართვას.
- (გ) იმ შემთხვევაში, თუ ნომრები პირდაპირ მინიჭებული არ არის Voxbone-ისათვის შესაბამისი ადგილობრივი ნუმერაციის ორგანოს მიერ, Voxbone-ი კლიენტის სახელით, ქსელიდან პორტირების მოთხოვნას წარუდგენს პირდაპირ დიაპაზონის მფლობელს. მხარეები თანხმდებიან იმის თაობაზე, Voxbone-ს არავითარი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ქსელიდან პორტირების ასეთ მოთხოვნებთან დაკავშირებით.
- (დ) თუ ნებისმიერი შესაბამისი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კლიენტი და მომხმარებლები ვეღარ გამოიყენებენ მომხმარებლის უფლებებს ნომერზე, აღნიშნული ნომრის გაუქმების შემდგომ, პორტირების უფლების (მაგრამ არა მხოლოდ) ჩათვლით.

4. აპლიკაციები

4.1. **ფაქსი PDF-ზე.** Voxbone-ის ფაქსი PDF-ზე მომსახურება კლიენტს ან მის ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს ფაქსი ნომერზე, SMTP-ის ან HTTP-ის მეშვეობით.

5. ურთიერთჩართვის მომსახურებები

Voxbone-ის პლატფორმა მოიცავს ურთიერთჩართვის არჩევით მომსახურებებს, საჯარო ინტერნეტის გამოყენების სტანდარტული კავშირის რეჟიმის მიღმა, მაგალითად, პირადი IP ბმული ან IP VPN.

- (ა) IP VPN: Voxbone-ი უზრუნველყოფს გამოყოფილ IP პორტს, საჯარო ინტერნეტის მეშვეობით, უსაფრთხო გადაცემისათვის, IPSec პროტოკოლის გამოყენებით.
- (ბ) პირადი IP ბმული მესამე მხარე პროვაიდერის მეშვეობით (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „Megaport“-ი): კლიენტს შეუძლია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, Voxbone-ის ანგარიშის მენეჯერს შეუკვეთოს ხელმისაწვდომი სიხშირეები, Megaport ქსელის მეშვეობით. კლიენტი აცნობიერებს, რომ კლიენტსა და Voxbone-ს შორის ურთიერთჩართვის უზრუნველსაყოფად საჭირო ვირტუალური სქემის შესაქმნელად, კლიენტი უნდა დაეთანხმოს Megaport-ის წესებსა და პირობებს და ნებისმიერი შესაბამისი გადასახადები გადაუხადოს პირდაპირ Megaport-ს. აღნიშნული მოიცავს Megaport-ის ქსელთან დაკავშირების ხარჯებსა და მომსახურებების მიწოდების ხარჯებს, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ): აუცილებელი ვირტუალური ჯვარედინი კავშირი (VXC), რომელიც საჭიროა Voxbone-სა და Megaport-ს შორის, მოქმედი სქემის უზრუნველსაყოფად. აგრეთვე შესაძლოა საჭირო გახდეს ანგარიშსწორება მესამე მხარე პროვაიდერისათვის, კლიენტისა და Megaport-ის ქსელის ურთიერთჩართვის მიზნით. Voxbone-ს არავითარი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს კლიენტისათვის მიყენებულ შესაძლო ზიანზე ან გაუმართაობაზე, რომელიც გამოწვეული იქნა კლიენტსა და Megaport-ს ან სხვა მესამე მხარე პროვაიდერს შორის, პირადი IP ბმულებთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6. მომსახურების შეზღუდვები

- 6.1. შეტყობინებების გაგზავნის მომსახურება არ მოიცავს გადაუდებელ მომსახურებებზე დაშვების მხარდაჭერას ან რაიმე მსგავს ფუნქციებს, მაგალითად, ტექსტური შეტყობინების გაგზავნას ნომერზე 911/112 ან ნებისმიერ სხვა გადაუდებელი მომსახურების ნომერზე. კლიენტი აცნობიერებს და აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ მომსახურების სხვა პროვაიდერებთან დამატებითი გარიგებების გაფორმება გადაუდებელ მომსახურებებზე დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, მხოლოდ მის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. შეტყობინებების გაგზავნის მომსახურების აღნიშნული მახასიათებლის შესახებ კლიენტის მომხმარებლების ინფორმირება მხოლოდ კლიენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.
- 6.2. Voxbone-ი ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლების დაშვებას შეტყობინებების გაგზავნის მომსახურებებზე და მომსახურება არ უნდა იქნეს გამოყენებული აღნიშნული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შეტყობინებების გაგზავნის მომსახურების ხსენებული მახასიათებლის შესახებ კლიენტის მომხმარებლების ინფორმირება მხოლოდ კლიენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

- 6.3. კლიენტი აცნობიერებს და აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ Voxbone-ი ვერ გასცემს მიმღების მოწყობილობაზე შეტყობინებების არსებითად მიწოდების გარანტიას, ქვემოთ მითითებული შესაძლო მიზეზების გამო: (i) მიმღების მობილური მოწყობილობა არ არის ჩართული ან მობილურმა მოწყობილობამ ამოწურა მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) მიღების ლიმიტი; (ii) მიმღები იმყოფება ზონაში, რომელსაც არ ფარავს მისი მობილური პროვაიდერი; (iii) მიმღები არ არის დაფარული მისი მობილური პროვაიდერის მიერ, ნებისმიერი ისეთი მიზეზით, როგორცაა (მაგრამ არა მხოლოდ): ანგარიშგაქურების (ინვოისების) გადაუხდელობა ან ტექნიკური ხარვეზები მიმღების მობილური პროვაიდერის ქსელში.
- 6.4. ფაქსი PDF-ზე ხელმისაწვდომი არ არის გარკვეული ქვეყნების ნომრებზე, როგორც ეს მომსახურების შეზღუდვებშია განსაზღვრული.
- 6.5. ფაქსი PDF-ზე არ მოიცავს გამავალი ფაქსების გაგზავნის მხარდაჭერას.
- 6.6. სტანდარტულად, Voxbone-ი მხარს არ უჭერს ადრეული მედია მასალების გამოყენებას. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სურს ადრეული მედია მასალების დამოუკიდებლად გამოყენება მომსახურებასთან და/ან ნომრებთან ერთად, კლიენტი ვალდებულია: (i) ადრეული მედია მასალები არ გამოიყენოს ბოროტად ან გადაჭარბებულად; და (ii) ადრეული მედია მასალების გამოყენება ხანგრძლივობა შეზღუდოს 60 წამზე ნაკლები ხანგრძლივობით. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, ტერმინი „ადრეული მედია მასალები“ გულისხმობს იმ მედია მასალებს (მაგალითად, აუდიო და ვიდეო მასალები), რომელთა გაცვლა ხორციელდება იქამდე, ვიდრე ზარის მიმღები მხარე უპასუხებს ზარს. ზარის მიმღები მხარის მიერ გენერირებული ადრეული მედია მასალების ნებისმიერი გამოყენება, ზარის მელოდიებისა და მოკლე სატარიფო განცხადებების გარდა, ბოროტად გამოიყენება ითვლება.
- 6.7. კლიენტმა არ უნდა მიიღოს შეგროვების ზარები და მომხმარებლებს არ უნდა მისცეს ასეთი ზარების მიღების ნებართვა. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, ტერმინი „შეგროვების ზარები“ გულისხმობს ზარებს, რომელთა საფასურსაც ეთანხმებიან და იხდიან მომხმარებლები. შეგროვების ზარზე კლიენტის ან მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, კლიენტი აცხადებს თანხმობას, დაფაროს შესაბამისი დანახარჯები.
- 6.8. კლიენტისათვის ნომრების მინიჭება არ უნდა წარმოადგენდეს Voxbone-ის მიერ საკუთრების გადაცემას ან ნუმერაციის უფლებების გაყიდვას. კლიენტი არ არის უფლებამოსილი, რაიმე სახით მოითხოვოს საკუთრების უფლება ნომრებთან მიმართებაში, ხოლო ნომრები უნდა დაუბრუნდეს Voxbone-ს, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ და Voxbone-ი უფლებამოსილია, აღნიშნული ნომრები ხელახლა მიანიჭოს სხვა კლიენტებს.
- 6.9. ნომრებზე შესაძლოა გავრცელდეს მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩოთი, ნუმერაციის გეგმით და/ან ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს დადგენილებებით განსაზღვრული მინიჭების პირობები და გამოყენების შეზღუდვები. მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩოთი და ნუმერაციის გეგმით გათვალისწინებული ყველა დებულების, აგრეთვე წინამდებარე მომსახურების აღწერით განსაზღვრული პირობებისა და მარეგულირებელი შეზღუდვების შესრულება კლიენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს საკუთარ მომხმარებლებთან ბიზნეს საქმიანობის წარმოების პროცესში.
- 6.10. ქვეყნის კანონების ან რეგულაციების თანახმად, ზოგიერთ ნომრზე შესაძლოა გავრცელდეს აღნიშნული ნომრების მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვრებში გამოყენების შეზღუდვები. კანონი შესაძლოა მოითხოვდეს აღნიშნული ნომრების საბოლოო მომხმარებლების მიერ იმის დადასტურებას, რომ ისინი ცხოვრობენ ხსენებული ტერიტორიების ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში, კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ: (i) თითოეული ნომერი მინიჭებული იქნეს იმ მომხმარებელზე, რომლებიც ფიზიკურად იმყოფებიან ნომრის შესაბამისი გეოგრაფიული ზონის ფარგლებში; (ii) მომხმარებლის ლოკაციის მონაცემების დამადასტურებელი სწორი ინფორმაცია იქნეს შეტანილი კლიენტის ვებ პორტალში; და (iii) ზემოთხსენებული ინფორმაცია მუდმივად იქნეს განახლებული და სწორი. ზემოთ მითითებული ვალდებულებების შესრულება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი განახორციელებს Voxbone-ის მომსახურების გადაყიდვას.
- 6.11. Voxbone-ის მიერ მხარდაჭერილი ნუმერაციის ფორმატია ITU E.164, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო E.164 ნუმერაციის გეგმაში.
- 6.12. კლიენტი გარკვევით აცნობიერებს, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი სატელეფონო მომსახურებების მეშვეობით ხელმისაწვდომი მთელი რიგი მომსახურების ფუნქციები, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ), დაშვება გადაუდებელ მომსახურებებზე და საცნობარო მოთხოვნებზე, შესაძლოა უზრუნველყოფილი არ იყოს ყველა მომსახურებისთვის. კლიენტმა უნდა მიმართოს „მომსახურების შეზღუდვებს“ და Voxbone-ის ვებგვერდს იმის დასადასტურებლად, თუ რომელი ფუნქციებია ხელმისაწვდომი მის მიერ შექმნილი მომსახურებისა და დაფარვისთვის.
- 6.13. კლიენტი გარკვევით აცნობიერებს და აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ Voxbone-ს არავითარი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს სხვა მომსახურების პროვაიდერის ისეთ საკითხებთან დაკავშირებული გაუმართაობით გამოწვეულ რაიმე სახის პირდაპირ ან ირიბ ზიანზე ან შესამე მხარის საჩივრებზე, როგორცაა (თუმცა, მოცემული ნუსხა ამოწურავი არ არის), გადაუდებელი ზარების გადამისამართება და დასრულება გადაუდებელი მომსახურების შესაბამის ცენტრებში, ზარის განმხორციელებლის ადგილმდებარეობის მიწოდება ან ზარის დაბრუნების შესაძლებლობის მხარდაჭერა.
- 6.14. Voxbone-ი პასუხს არ აგებს რაიმე სახის ზიანზე, ზარალზე ან შესამე მხარის საჩივრებზე, ხოლო კლიენტი აცხადებს თანხმობას, დაიცვას და სრულად გაათავისუფლოს Voxbone-ი პასუხისმგებლობისაგან იმ ნებისმიერ ზიანთან და ზარალთან მიმართებაში, რომელიც Voxbone-ს მიადაგა კლიენტის ან მისი მომხმარებლების გადაუდებელ სამსახურებთან დაკავშირების შეუძლებლობასთან დაკავშირებით.

7. სხვადასხვა დებულებები

- 7.1. წინამდებარე მომსახურების აღწერა შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, როდესაც Voxbone-ი ადამტებს ან გააუქმებს მომსახურებებს ან მომსახურებების მახასიათებლებს გაუმჯობესების მიზნით. მომსახურების გამოყენების გაგრძელება ასეთი განახლების შემდგომ წარმოადგენს თანხმობას, მომსახურების აღწერის ახალ პირობებზე.
- 7.2. იმ ქვეყნების ნუსხა, რომლებსაც Voxbone-ი ემსახურება ხელმისაწვდომია Voxbone-ის ვებგვერდზე და შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად. ნუსხა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.voxbone.com/coverage/all>.
- 7.3. Voxbone-ის შემომავალი ხმოვანი მომსახურებისა და გამავალი ხმოვანი მომსახურების შეკვეთა და უზრუნველყოფა ხორციელდება ცალკეული, ავტონომიური ხმოვანი მომსახურების სახით. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების თანახმად, ზემოთ მითითებული თითოეული განსხვავებული მომსახურება შეადგენს კავშირის არქონე VoIP მომსახურებას. არცერთი მომსახურება არ უზრუნველყოფს რეალური დროის ხმოვანი კომუნიკაციების წამოწყებისა და დასრულების გაიოლებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი ნებისმიერი კლიენტი აცნობიერებს აღნიშნულ კლასიფიკაციას და იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი გამოიყენებს რომელიმე ან ორივე მომსახურებას, ხელახლა დაკომპლექტებული

ურთიერთჩართული VoIP მომსახურების პაკეტის კომპონენტების სახით, კლიენტი ვალდებული იქნება შეასრულოს ურთიერთჩართულ VoIP-ზე გავრცელებული ვალდებულებები.

მისაღები გამოყენების პოლიტიკა

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. Voxbone-ის მომსახურებები და ქსელი კლიენტებმა პასუხისმგებლობით უნდა გამოიყენონ. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკა ("AUP") განსაზღვრავს Voxbone-ის მომსახურებების გამოყენების მისაღებ პრაქტიკას; უზრუნველყოფს Voxbone-ისა და მისი კლიენტების ინტერესების, რეპუტაციისა და რესურსების დაცვას; და აგრეთვე უზრუნველყოფს საჯარო ინტერნეტ საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანობის დაცვას, Voxbone-ის შესაძლებლობების ფარგლებში.
- 1.2. Voxbone-ის მომსახურებების გამოყენებით, კლიენტი ადასტურებს, რომ მან წაიკითხა, გაიგო და ეთანხმება წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკას ("AUP"). კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ყველა მომხმარებლის მიერ, წინამდებარე პოლიტიკის დაცვა და ჩაითვლება, რომ ყველა მომხმარებელმა თანხმობა განაცხადა წინამდებარე პოლიტიკის დებულებებზე, Voxbone-ის უფლების ჩათვლით, შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკის დარღვევის შემთხვევაში.
- 1.3. Voxbone-ი იცავს კონფიდენციალურობის შესახებ ყველა მოქმედ კანონს, როგორც ეს დეტალურად აღწერილია Voxbone-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.voxbone.com/privacy-policy>.
- 1.4. წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკის დარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის ან შეკითხვის გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: telecom.abuse@voxbone.com. Voxbone-ი გონივრულად გამოიძიებს ზემოთხსენებულ დარღვევებთან დაკავშირებულ ინციდენტებს. საჭიროების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, Voxbone-ი უზრუნველყოს გონივრული დახმარებით აღნიშნული გამოძიების პროცესში და ითანამშრომლოს ნებისმიერ სამართალდამცავ ან მარეგულირებელ ორგანოსთან, უკანონო ან არასათანადო მოქმედებასთან დაკავშირებული საჩივრების გამოძიების მიზნით.
- 1.5. ჩვეული პრაქტიკის სახით, Voxbone-ი არ განახორციელებს კლიენტების კომუნიკაციების მონიტორინგს, Voxbone-ის პოლიტიკასთან ან მოქმედ კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, თუ ეს განხორციელებადი იქნება, Voxbone-ი იტოვებს უფლებას, დანერგოს ტექნიკური მექანიზმები წინამდებარე პოლიტიკის დარღვევების პრევენციის ან სამართლებრივი ორგანოების ბრძანებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.
- 1.6. Voxbone-ი მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ ახორციელებს წინამდებარე პოლიტიკის ინტერპრეტირებას და თავად ადგენს, დაირღვა თუ არა წინამდებარე პოლიტიკა კლიენტის ან მომხმარებლის მიერ.
- 1.7. წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკა შეადგენს Voxbone-სა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე პოლიტიკა ავტომატურად აუქმებს და ანაცვლებს ნებისმიერ მანამდე მოქმედ მისაღები გამოყენების პოლიტიკას, რომელზეც კლიენტს თანხმობა აქვს განცხადებული.
- 1.8. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულების მიუხედავად, კლიენტის მომხმარებლის მიერ წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკის დარღვევა უნდა ჩაითვალოს კლიენტის მიერ, წინამდებარე პოლიტიკის დარღვევად.
- 1.9. Voxbone-ი უფლებამოსილია, პერიოდულად ცვლილებები შეიტანოს წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკაში. ნებისმიერი ასეთი ცვლილება ძალაში შედის დაუყოვნებლივ. მომსახურებების გამოყენება ცვლილების განხორციელების და ნებისმიერი საშუალებით კლიენტისათვის მისი შეტყობინების შემდგომ უნდა ჩაითვალოს კლიენტის თანხმობად, პოლიტიკის განახლებულ პირობებზე.

2. მომსახურების მახასიათებლები და შეზღუდვები

- 2.1. არცერთ შემთხვევაში, Voxbone-ს არავითარი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს საკუთარი კლიენტების ან ნებისმიერი მესამე მხარის წინაშე ისეთ ზიანზე ან ზარალზე, რომელიც გამოწვეული იქნა მომსახურებების არაზუსტი, არასათანადო, შეურაცხმყოფელი, უკანონო ან აკრძალული გამოყენების შედეგად ან ისეთი საჩივრიდან გამომდინარე რაიმე სახის პირდაპირ, ირიბ, განსაკუთრებულ ან შედეგობრივ ზიანზე, რომელთა თანახმადაც, კლიენტის მოქმედება წინააღმდეგობა წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკას.
- 2.2. კლიენტი აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ Voxbone-ის ქსელის, ვებგვერდისა და API-ს მიწოდება ხორციელდება „როგორც არის“ საფუძველზე და არ არის გარანტირებული მათი ხარვეზების გარეშე ფუნქციონირება. ონლაინ განხორციელებული კომუნიკაციები და ტრანზაქციები შესაძლოა არ იყოს სრულიად უხარვეზო ან აბსოლუტურად უსაფრთხო. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სისტემის გაუმართაობას, რამაც შესაძლოა შეზღუდოს კლიენტის დაშვება მომსახურებებზე.

3. გამოყენების შეზღუდვები

3.1. Voxbone-ის ქსელი

- 3.1.1. კლიენტები არ არიან უფლებამოსილი, Voxbone-ის ქსელი ან მომსახურებები გამოიყენონ ისეთიანად, რომ აღნიშნული გამოყენება იწვევდეს ან მოიცავდეს: (ა) მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციის, საერთაშორისო შეთანხმების, სატარიფო შეთანხმების ან ხელშეკრულების დარღვევას; (ბ) მომსახურებების მეშვეობით ხელმისაწვდომი ნებისმიერი ქსელების, საშუალებების ან მომსახურებების მისაღები გამოყენების პოლიტიკის დარღვევას; (გ) Voxbone-ის ან სხვა პირების ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევას; (დ) სხვა პირების კონფიდენციალურობის დარღვევას; ან (ე) შეცდომაში შემყვან ან თაღლითურ მარკეტინგულ პრაქტიკას.
- 3.1.2. კლიენტმა არ უნდა გამოიყენოს მომსახურება და მომხმარებელს უნდა მოსთხოვოს არ გამოიყენონ მომსახურება ისეთი ინფორმაციის გადასაცემად ან ნებისმიერი ისეთი მომსახურების შესათავაზებლად, რომელიც ეწინააღმდეგება რომელიმე მოქმედ კანონს ან რეგულაციას, არის შეცდომაში შემყვანი, მავნე, მუქარის შემცველი, ცილისმწამებლური, პორნოგრაფიული ან რომელიც შეიძლება შეურაცხმყოფელად იქნეს მიჩნეული ნებისმიერი სხვა კრიტერიუმით.
- 3.1.3. კლიენტმა არ უნდა განახორციელოს გამავალი ზარები და არ უნდა გაგზავნოს შეტყობინებები ან ფაქსები Voxbone-ის ნომრის, CLI-ს სახით გამოყენებით, მესამე მხარე პროვაიდერის მეშვეობით, თუ მხარეებს შორის სხვა რამ არ არის წერილობით შეთანხმებული.

- 3.1.4. თუ კლიენტს იყენებს E.164 ფორმატისგან განსხვავებულ რომელიმე სხვა CLI ფორმატს, მოდიფიცირებული პრეზენტაციის შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ შედეგებზე სრულად პასუხისმგებელი უნდა იყოს კლიენტი.
- 3.1.5. კლიენტმა არ უნდა დაარღვიოს CLI პრეზენტაციის სახელმძღვანელო პრინციპები ("CLIP") და CLI შეზღუდვა ("CLIR"). კერძოდ, კლიენტი ვალდებულია: (i) ზარის დასრულებისას, აჩვენოს CLI როდესაც ზარის განმახორციელებელმა აირჩია CLIP-ი და დაბლოკოს CLI პრეზენტაცია, როდესაც ზარის განმახორციელებელმა აირჩია CLIR-ი; და (ii) დაიცვას CLI ინფორმაციის კონფიდენციალურობა და CLI ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების მიზნით (მაგალითად, ზარის გადაცემა, ოპერატორის დახმარება, გადაუდებელი მომსახურებები, ქსელის მართვა და ანგარიშგება).
- 3.1.6. კლიენტი იძლევა გარანტიას იმის თაობაზე, რომ მის მიერ, ხმოვანი ზარებისა და შეტყობინებების წამოწყებისათვის გამოყენებული სრული CNAM ინფორმაცია არ არის შეცდომაში შემყვანი, მცდარი, ყალბი ან თაღლითური.
- 3.1.7. კლიენტმა სათანადო ზომები უნდა მიიღოს Voxbone-ის ქსელში, თაღლითური ტრაფიკის პრევენციის მიზნით.
- 3.1.8. კლიენტმა Voxbone-ის ქსელი არ უნდა გამოიყენოს რაიმე ტიპის სპამთან დაკავშირებული მოქმედებისათვის და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა ნომრებიდან, რომლებიც Voxbone-ს არ ეკუთვნის, ზარების ან შეტყობინებების წამოსაწყებად ისეთი CLI-ით, რომელიც სხვა ოპერატორის მიერ მიიწვევს, Voxbone-ი უფლებამოსილი იქნება, დაუყოვნებლივ გამორთოს შესაბამისი ნომერი, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე.
- 3.1.9. კლიენტმა არ უნდა გამოიყენოს ზარის გადამისამართების ფუნქცია (იგულისხმება ზარებისა და შეტყობინებების Voxbone-ის ქსელში გაგზავნა ისეთი ნომრებიდან, რომლებიც Voxbone-ს არ ეკუთვნის), ზარების ან შეტყობინებების წამოსაწყებად ისეთი CLI-ით, რომელიც სხვა ოპერატორის მიერ, კლიენტისათვის მინიჭებული არ ყოფილა ან რომლის Voxbone-ის მომსახურებებთან გამოყენების ნებასაც კლიენტს არ გააჩნია.
- 3.1.10. კლიენტმა არ უნდა გამოიყენოს მომსახურებები ისეთიანად, რომ გამოიწვიოს კომუნიკაციების დეგრადაცია ან ქსელის გაუმართაობა.
- 3.1.11. კლიენტმა არ უნდა დაარღვიოს არცერთი ქვეყნის ნომრებსა და მომსახურებებზე გავრცელებული „მომსახურების შეზღუდვები“.

3.2. შემომაგალი და გამაგალი ხმოვანი მომსახურებები

- 3.2.1. ხმოვანი მომსახურებები არ უნდა იქნეს გამოყენებული ზარის დაბრუნების აპლიკაციებისთვის ან იმ ნებისმიერი აპლიკაციებისთვის, რომლებიც ძირითადად იყენებენ სასიგნალო რესურსებს, არხების საპირისპიროდ. იმ შემთხვევაში, თუ Voxbone-ი განიცდის დანახარჯებს, კლიენტის ან მისი ნებისმიერი მომხმარებლის მიერ, ზარის დაბრუნების ან სიგნალზე დაფუძნებული აპლიკაციების გამოყენების შედეგად, შემოთხსენებული ხარჯების დაფარვის ვალდებულებას Voxbone-ი სრულად გადასცემს კლიენტს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, ტერმინი „ზარის დაბრუნების აპლიკაცია“ უნდა გულისხმობდეს აპლიკაციას, რომელიც იყენებს სასიგნალო რესურსებს და რომელიც ზარს აბრუნებს ზარის განმახორციელებელი მხარის ნომერზე.
- 3.2.2. დარეკვის ბარათის მიზნებისათვის ნომრის გამოყენებამდე, კლიენტმა უნდა მიმართოს Voxbone-ს იმის დასადგენად, ნებადართულია თუ არა აღნიშნული ქმედება ნომერთან დაკავშირებული ქვეყნის/ტერიტორიის ფარგლებში.

3.3. შეტყობინებების გაგზავნის მომსახურებები

- 3.3.1. კლიენტმა თავი უნდა შეიკავოს შეურაცხმყოფელი, შეცდომაში შემყვანი, უხამსი, ცილისმწამებლური, უცენზურო ან მუქარის შემცველი, უხერხული ან ყალბი ნებისმიერი შეტყობინებების გაგზავნისაგან; აგრეთვე, კლიენტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი შეტყობინებების გაგზავნისაგან, რომლებიც არღვევენ ნებისმიერ კანონს ან რომელიმე პირის კონფიდენციალურობას ან სხვაგვარად წარმოადგენს უკანონობას. კლიენტის ან მისი მომხმარებლების მიერ, ზემოთ აღწერილი შეტყობინებების გაგზავნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, დროულად ითანამშრომლოს Voxbone-თან და მიიღოს გადაუდებელი ზომები, ასეთი ქმედებების შეწყვეტის მიზნით.
- 3.3.2. კლიენტი აცნობიერებს, რომ Voxbone-ის მიერ მიწოდებული შეტყობინებების გაგზავნის მომსახურება არ წარმოადგენს მარკეტინგულ მომსახურებას.
- 3.3.3. შეტყობინებების გაგზავნის მომსახურება წარმოადგენს P2P მომსახურებას და მისი გამოყენება შესაძლებელია კლიენტების ან მომხმარებლების მიერ, მხოლოდ P2P ტრაფიკის გასაგზავნად. შეტყობინებების წამოწყება უნდა განხორციელდეს ადამიანის ზემოქმედების შედეგად. დაუშვებელია შეტყობინებების გაგზავნის მომსახურების გამოყენება დიდი რაოდენობის სარეკლამო შეტყობინებების ან სხვა მარკეტინგული კამპანიების წარმოების მიზნით, რომლებიც ეწინააღმდეგება გრძელი ვირტუალური ნომრების დანიშნულებას და სცდება ეროვნულ მარეგულირებელ ან ინდუსტრიის სახელმძღვანელო წესების რეგულირების სფეროს (მაგალითად, CTIA შეტყობინების პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა).
- 3.3.4. მობილური ნომრები არ უნდა იქნეს გამოყენებული შესაბამისი IMSI-თან ერთად, SIM-ზე დაფუძნებული ქსელზე დაშვების მომსახურების უზრუნველსაყოფად.
- 3.3.5. Voxbone-ი უფლებამოსილია, დააწესოს ერთი ნომრის მიერ, რომელიმე მოცემულ ქვეყანაში გაგზავნილი შეტყობინებების ჯამური რაოდენობის დღიური ლიმიტი. მხოლოდ კლიენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს აღნიშნული შეზღუდვების გაცნობა „მომსახურების შეზღუდვებში“.
- 3.3.6. Voxbone-ის შეტყობინებების გაგზავნის მომსახურება გამოყენებული უნდა იქნეს საბოლოო მომხმარებელთან, ორმხრივ საუბარში ჩართვის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალმხრივი შეტყობინებების გაგზავნის მოქმედებები გარკვევით იკრძალება.
- 3.3.7. მობილური ნომრების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მობილური გამოყენების მომსახურებების და/ან კონკრეტული ფუნქციების მომსახურებისათვის, მაგალითად, შეტყობინებების გაგზავნის მომსახურებისთვის.
- 3.3.8. მობილური ნომრების მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკური პირებისათვის და მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ P2P კომუნიკაციებისათვის.

3.4. გადაუდებელი მომსახურებები

- 3.4.1. კლიენტმა არ უნდა დაუშვას გადაუდებელი ზარების განხორციელება სხვა ადგილებიდან, გარდა იმ ადგილისა, სადაც კლიენტმა დაარეგისტრირა გააქტიურებული ნომერი, თუ ეს გარკვევით არ არის ნებადართული ქვეყნის „მომსახურების შეზღუდვებში“. Voxbone-ი პასუხს არ აგებს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ უზრუნველყოფს გააქტიურებული ნომრის ადგილმდებარეობის ინფორმაციის მუდმივ განახლებას.
- 3.4.2. Voxbone-ის მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს სატესტო ზარებში, ოპერაბელურობის უზრუნველყოფის მიზნით. თუ კლიენტი უარს განაცხადებს სატესტო ზარებში მონაწილეობაზე, Voxbone-ი პასუხს არ აგებს იმ ნებისმიერ ზიანზე, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა კლიენტის ტესტირებაში მონაწილეობით.
- 3.4.3. კლიენტი აცნობიერებს VoIP-ზე დაფუძნებული გადაუდებელი ზარების მომსახურებებზე გავრცელებულ შეზღუდვებს და თავად არის პასუხისმგებელი აღნიშნული შეზღუდვების მომხმარებლისათვის შეტყობინებაზე.
- 3.4.4. კლიენტმა ყოველთვის უნდა გადასცეს გააქტიურებულ ნომერთან ასოცირებული მომხმარებლის სწორი CLI გადაუდებელი მომსახურებების ზარებზე. კლიენტს შესაძლოა დაეკისროს 1000 ევრომდე ოდენობის დღიური გადასახადი იმ შემთხვევაში, თუ Voxbone-ი აღმოჩენს, რომ კლიენტი გადასცემს იმ მომხმარებლების გააქტიურებული ნომრის CLI-ს, რომლებსაც არ აქვთ აღნიშნული გააქტიურებული ნომერი მინიჭებული.
- 3.4.5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ახორციელებს Voxbone-ის გადაუდებელი მომსახურებების გადაყიდვას, კლიენტმა არ უნდა დაბლოკოს მომხმარებლები ან არ უნდა შეზღუდოს მომხმარებლების დაშვება მაშინაც კი, თუ აღნიშნული მომხმარებლები არღვევენ კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.
- 3.4.6. კლიენტი აცნობიერებს, რომ ნომრის გააქტიურებას გადაუდებელი მომსახურებებისათვის ან მომხმარებლის ადგილმდებარეობის ინფორმაციაში ცვლილების განხორციელებას შესაძლოა შეიძლოს (7) სამუშაო დღემდე პერიოდი დასჭირდეს დასასრულებლად.

3.5. საცნობარო მომსახურებები

- 3.5.1. კლიენტი მხოლოდ თავად არის პასუხისმგებელი Voxbone-ისათვის მიწოდებული მონაცემების სიზუსტეზე და Voxbone-ი იტოვებს უფლებას, არ გამოაქვეყნოს ნებისმიერი მცდარი, არასრული ან შეუსაბამო მონაცემები.
- 3.5.2. კლიენტი აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ იმ ქვეყნის უნივერსალურ ცნობარში გამოქვეყნებული საცნობარო ინფორმაცია, რომლის ფარგლებშიც ნომერი იქნა მინიჭებული, შეიძლება აგრეთვე გადაეცეს ქვეყანაში მოქმედ სხვა კომერციულ საცნობარო მომსახურებების პროვიდერებს.
- 3.5.3. კლიენტი აცნობიერებს და აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ შესაბამის საცნობარო სამსახურებში გამოქვეყნებული სახელი, მისამართი და ნომერი აგრეთვე ხელმისაწვდომი იქნება საპირისპირო მიების შემთხვევაშიც (იგულისხმება ნომერზე დაფუძნებული ძებნა, მომხმარებლის სახელისა და მისამართის იდენტიფიცირების მიზნით).
- 3.5.4. Voxbone-ი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს ისეთი საცნობარო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, რომელიც არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებს.

4. საეჭვო ტრაფიკი

- 4.1. Voxbone-ი უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს გამავალი ხმოვანი ტრაფიკის ნებისმიერ რყევებს. იმ შემთხვევაში, თუ Voxbone-ი გამოავლენს რაიმე სახის უჩვეულო ან საეჭვო ტრაფიკს, Voxbone-ი უფლებამოსილია, მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებასთან წინააღმდეგობის გარეშე, მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერი საეჭვო ტრაფიკის ნაწილობრივი შეჩერების შესახებ, შემდგომ შეტყობინებამდე.
- 4.2. ნებისმიერი უჩვეულო ან საეჭვო ტრაფიკის გამოვლენის მიუხედავად, კლიენტი აცნობიერებს და აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი საეჭვო ან თაღლითური ტრაფიკის საფასური სრულად დაერიცხება კლიენტს Voxbone-ის მიერ.

5. აკრძალული გამოყენების შედეგები

- 5.1. Voxbone-ი უფლებამოსილია, მიიღოს ზომები წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკის დარღვევების შეჩერების მიზნით. Voxbone-ი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ იმოქმედოს ასეთ დარღვევასთან მიმართებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევის აღმოფხვრის ნებისმიერი პერიოდის გამოყენების გარეშე, ხელშეკრულების შეწყვეტის (მაგრამ არა მხოლოდ) ჩათვლით.
- 5.2. Voxbone-ი უფლებამოსილია, წინამდებარე მისაღები გამოყენების პოლიტიკის დამრღვევები წარუდგინოს სამოქალაქო ან სისხლის სამართლის ორგანოებს სამართლებრივი დევნის მიზნით და სრულად ითანამშრომლებს სამთავრობო ორგანოების მიერ ინიცირებულ ყველა გამოძიებასთან ან საქმისწარმოებასთან.
- 5.3. Voxbone-ი უფლებამოსილია, გაამყვანოს მისი საშუალებებით გადაცემული ინფორმაცია თუ ეს აუცილებელია Voxbone-ისა და მისი კლიენტების ზიანისაგან დასაცავად ან თუ ასეთი გამყვანება აუცილებელია სისტემის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.
- 5.4. კლიენტის ან მომხმარებლის მიერ აკრძალული ქმედებების ჩადენის შემთხვევაში, Voxbone-ი იტოვებს უფლებას, კლიენტს დააკისროს აღნიშნულ ქმედებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის ვალდებულება, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ): დამრღვევების გამოვლენისა და მომსახურებებზე დაშვების შეზღუდვის ან შეწყვეტის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

6. განსაკუთრებული გამოყენება

იმ შემთხვევაში, კლიენტი მოელის გამოყენების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას რომელიმე ქვეყნის ან გეოგრაფიული ზონის ფარგლებში, კლიენტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ Voxbone-ს შეატყობინოს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sales@voxbone.com ან აცნობოს საკუთარ ანგარიშის მენეჯერს, რათა Voxbone-მა შეძლოს შესაბამისი სიმძლავრის უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დროულად არ შეატყობინებს Voxbone-ს ზემოთ მითითებულის შესახებ, აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს კლიენტის ტრაფიკის დროებითი შეჩერება შესაბამის ქვეყნებში ან ზონებში, Voxbone-ის ქსელის მართვის გონივრული პრაქტიკის შესაბამისად.

7. ქსელის გონივრული მართვა

Voxbone-ი იტოვებს უფლებას, მართოს ქსელის სიმძლავრე გადატვირთვის შემსუბუქების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ Voxbone-ი განიცდის მწვავე გადატვირთვას, რომელიც საფრთხეს უქმნის მომსახურებების უწყვეტობას ან ხარისხს, Voxbone-ი უფლებამოსილია, დროებით შეაჩეროს ნებისმიერი კლიენტის მომსახურებები, ხელმისაწვდომი სიმძლავრის ყველა კლიენტზე სამართლიანი განაწილების მიზნით. ყოველთვის როდესაც ეს შესაძლებელი იქნება, Voxbone-ი წინასწარ გაფრთხილებას წარუდგენს კლიენტს, გადატვირთვასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეჩერების თაობაზე.

8. სხვადასხვა დებულებები

- 8.1. კლიენტი არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ანგარიში გადასცეს ნებისმიერ მესამე მხარეს, Voxbone-ის წინასწარი წერილობითი თანხმობისა და Voxbone-ის მიერ, „ანგარიშის გადაცემის“ ფორმის შევსების გარეშე.
- 8.2. საკუთარი პაროლისა და მომხმარებლის ანგარიშის კონფიდენციალურობის დაცვაზე, კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს გააჩნია საფუძველი ივარაუდოს, რომ მისი პაროლის უსაფრთხოება დაირღვა, კლიენტი ვალდებულია, დროულად დაუკავშირდეს საკუთარ ანგარიშის მენეჯერს.